



“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გ. ჯიქიაშვილი
ზაზა შეშვილაძე

„29“ 01 “ 2015 წელი

2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *აქ 15/00*

2012-2013 წლებისთვის

სარჩევი

შემოკლებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	6
ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	7
1. ქონების მართვა.....	8
2.შემოსავლები	12
2.1.სახელმწიფო სასწავლო/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი	13
2.2. იჯარა	18
3.ხარჯები.....	21
3.1. შრომის ანაზღაურება.....	23
3.1.1.პრემია.....	26
3.1.2. სახელფასო დანამატი	27
3.2. შესყიდვები.....	32
3.2.1 დაგეგმვა.....	32
3.2.2 ტენდერები	34
3.3 წარმომადგენლობითი ხარჯები	41
4.სასწავლო პროცესის მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა.....	48
5.საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშგება	58
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	62

შემოკლებები

1. თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უნივერსიტეტი;
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - სამინისტრო;
3. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი - ცენტრი;
4. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი - რეესტრი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები:

- ✓ ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ერთი ნაწილი უნივერსიტეტის მფლობელობაშია კონკრეტული სამართლებრივი უფლებით (საკუთრების და სარგებლობის), ხოლო მეორე ნაწილი საბალანსო ღირებულებით 9 967 539 ლარი „დამაგრებულია“ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე. ამასთან, სასწავლებელი - ბალანსზე არსებულ ქონების ნაწილს სათანადოდ ვერ განკარგავს და მისი გამოყენება შეუძლებელია, როგორც ადმინისტრაციული, ასევე ეკონომიკური საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე.
- ✓ სტუდენტების გარკვეული ჯგუფების მიხედვით უნივერსიტეტის მიერ ზედმეტად მიღებულმა სახელმწიფო სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხამ შეადგინა 73949 ლარი

ზედმეტად ჩარიცხული თანხა		
სტუდენტების ჯგუფი	სტუდენტების რაოდენობა	თანხა
გრანტის არ მქონე	11	21262
სტატუს შეჩერებული/შეწყვეტილი	34	26250
ვადაგადაცილებით სტატუს შეჩერებული/შეწყვეტილი	25	26437
სულ:	70	73949

- ✓ მოიჯარეების მიერ საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევით, ხოლო უნივერსიტეტის მხრიდან არ ხდებოდა ვადაგადაცილებულ დღეებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის დარიცხვა. სულ დასარიცხი ჯარიმის თანხამ აუდიტის პერიოდში შეადგინა 4510 ლარი
- ✓ აუდიტის პერიოდში მოიჯარეების ფაქტობრივ სარგებლობაში (მფლობელობაში) და ხელშეკრულებით განსაზღვრულ არასაცხოვრებელ ფართებს შორის სხვაობამ

შეადგინა დაახლოებით 422 კვ. მეტრი, შესაბამისად 2012-2013 წლებში უნივერსიტეტმა სავარაუდოდ ვერ მიიღო შემოსავალი მოიჯარეების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული არასაცხოვრებელი ფართებიდან. ამასთან, მოიჯარეების უსასყიდლო სარგებლობაში იყო სასწავლებლის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მაგიდები-სკამები).

- ✓ აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე ზეგანაკვეთური სამუშაოს და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციის შესრულებისთვის სახელფასო დანამატის(986 281 ლარი) და პრემიის(325 872 ლარი) გაცემის მატერიალური მტკიცებულებები, შესაბამისად არ დასტურდება ზედმეტად გაცემული თანხის საფუძვლიანობა და შეუძლებელია დადგინდეს, რამდენად მართლზომიერად არის გაცემული ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე სახელფასო დანამატი და პრემია. აკადემიური პერსონალის მიხედვით სახელფასო დანამატის გაცემა ხდებოდა მატერიალური სამართლებრივი საფუძვლების გარეშე. ამასთან, აუდიტის პერიოდში აკადემიური პერსონალის სახელფასო დანამატების გაცემისას არსებობდა არაერთგვაროვანი მიდგომა.
- ✓ ცალკეულ შემთხვევებში, უნივერსიტეტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, პრეტენდენტების მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები და მიწოდების პირობები ზღუდავდა საქონლის/მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და არ უზრუნველყოფდა შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას. აღნიშნული იწვევდა საჯარო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას. მსგავსი შესყიდვების განხორციელების პირობებში პრეტენდენტთა მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრისას ადგილი ჰქონდა არაერთგვაროვან მიდგომას.
- ✓ სასწავლებელი არ ახდენს შრომის ბაზრის კვლევასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზს, რასაც უნდა დაეფუძნოს ფაკულტეტების პრიორიტეტულობის და თითოეული ფაკულტეტის მიხედვით მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა. სასწავლო პროგრამების კურიკულუმების და სილაბუსების შერჩევითი შესწავლით გამოვლინდა შემდეგი გარემოება: ხშირ შემთხვევებში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები არის მოძველებული, ხოლო მისი ავტორი და საგნის ლექტორი წარმოდგენს ერთსა და იმავე პიროვნებას. უნივერსიტეტის მიერ არ განხორციელებულა შედარებითი ანალიზი კონკურენტ უნივერსიტეტებთან მიმართებაში. მათ შორის: შეთავაზებული სასწავლო პროგრამების ანალიზი, სწავლების მეთოდები და სახელმძღვანელო ლიტერატურის აქტუალობა, ძლიერი და სუსტი მხარეები კონკურენტებთან მიმართებაში, მოზიდული კონტიგენტის მიხედვით საბაზრო წილი და ა.შ.

რეკომენდაციები:

- დადგინდეს სასწავლებლის მიერ ბალანსზე აღრიცხული ქონების ფაქტიური მოსარგებლე და გამოუყენებლობის შემთხვევაში განხორციელდეს ფაქტიური მოსარგებლისთვის ქონების გადაცემის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები;
- ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდეს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები. მათი ჩამოწერა ან შემდგომი განკარგვა განხორციელდეს არსებული წესით;
- გონივრული პერიოდულობით განხორციელდეს კომუნიკაცია უნივერსიტეტსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის, რათა გაუმჯობესდეს კონტროლის გარემო და მინიმუმამდე იქნას შემცირებული სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტების არასწორად ჩარიცხვის რისკი;
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს არასწორად ჩარიცხული სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის კორექტირება/უკან დაბრუნება.
- უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს მოიჯარეების მიერ გადასახდელი მიმდინარე გადასახადების დროული მონიტორინგი. საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში სასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზომები დებიტორული დავალიანების დასაფარად. ვადაგადაცილების შემთხვევაში მოიჯარეს დამატებით დაერიცხოს საურავი.
- შემუშავდეს ფუნქციური სახელფასო დანამატის გაცემის წესი, რითაც განისაზღვრება ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვის და ანაზღაურების პროცედურა; განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის/სამსახურებრივი ფუნქციების მოსალოდნელზე უკეთ შესრულების ინდიკატორები და შეფასების სისტემა;
- პრემიების დარიცხვა მოხდეს არგუმენტირებული მატერიალური საფუძვლების გათვალისწინებით;
- გაუმჯობესდეს არსებული სასწავლო პროგრამები, კურიკულუმები და სილაბუსები. განახლდეს სასწავლო ლიტერატურა, დარგის უახლესი მიღწევების და საერთაშორისო აღიარების გათვალისწინებით.
- ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რეგულარულად ჩაატაროს კვლევები, გამოკითხვები და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობა, სასწავლო პროცესის სუსტი და ძლიერი მხარეები.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში ორგანიზაციის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის და უმაღლესი განათლების სფეროში საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას მისაღები საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა უნივერსიტეტის 2012 და 2013 წლების შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

1. ქონების მართვა;
2. შემოსავლები და ხარჯები;
3. სასწავლო პროცესის მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სასწავლებლის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2012 და 2013 წლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განხრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული

ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის 2012 და 2013 წლების საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს უძველესი და უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც 1918 წლის 26 იანვარს დაარსდა. იგი წარმოადგენდა პირველ უნივერსიტეტს მთელს კავკასიაში. 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.


უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიისა და ბოლონიის პროცესის პრინციპებით.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია: რექტორი, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის პერიოდში უნივერსიტეტმა ორჯერ განიცადა რეორგანიზაცია. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 ნოემბერის №412 დადგენილების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეორგანიზებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად, ხოლო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ივლისის №187 დადგენილების საფუძველზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გარდაიქმნა საჯარო

სამართლის იურიდიული პირად – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად.

უნივერსიტეტის სტრუქტურა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 6 ფაკულტეტი, თითოეულ ფაკულტეტს გააჩნია დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები; სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულები, რომლებიც მოიცავს ჯამში 24 სტრუქტურულ ერთეულს; ადმინისტრაცია, რომელიც თავის მხრივ 24 სტრუქტურულ ერთეულს აერთიანებს.



1. ქონების მართვა

1.1 კრიტერიუმი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია ნივთის მფლობელობის კონსტიტუციური შინაარსი, რაც ორი ნიშნით ხასიათდება: პირველი ნივთზე

ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობა და ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება.¹ ამასთან აქტივი (მათ შორის უძრავი ქონება) წარმოადგენს წარსულში ეკონომიკური მოვლენის შედეგად მიღებულ, ორგანიზაციის მიერ კონტროლირებად რესურსს, რის საფუძველზეც მოსალოდნელია ორგანიზაციაში მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან/და მომსახურების პოტენციალის შემოსვლა.²

გამოვლენილი გარემოება: ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ერთი ნაწილი უნივერსიტეტის მფლობელობაშია კონკრეტული სამართლებრივი უფლებით (საკუთრების და სარგებლობის), ხოლო მეორე ნაწილი „დამაგრებულია“ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძველების გარეშე

- უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების სამართლებრივი სტრუქტურა 01.01.2014 წლის მდგომარეობით

	საკუთრებაში არსებული		სარგებლობაში არსებული		ბალანსზე (ფაქტიურ მფლობელობაში) არსებული		საერთო მონაცემი	
	მიწა	შენობა	მიწა	შენობა	მიწა	შენობა	მიწა	შენობა
ფართობი	313400	78725.44	44116.9	10432.43	782853.9	170017.02	1140370.82	259174.9
საბალანსო ღირებულება	45431529	51646985.48	3751880	2241807.799	45661462	9675328.637	94844871	63564122

აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შესამოწმებელ პერიოდში ორჯერ განხორციელდა უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმის ცვლილება. მოცემული რეორგანიზაციის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს მთავრობის დადგენილებების³ საფუძველზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაევალა უნივერსიტეტისთვის სახელმწიფო ქონების გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. რომლის საფუძველზეც, აუდიტის ობიექტმა 2012-2013 წლებში არაერთგზის მიმართა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ქონების გადმოცემის მოთხოვნით. როგორც დადგინდა, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არათანმიმდევრული და არადროულია. მაგალითისათვის, სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილებით სასწავლებელს სარგებლობის ფორმით გადაეცა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას N42-44-ში არსებული მიწის

¹ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ - მუხლი 155;

² „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“ მუხლი 2, პუნქტი „თ“;

³ 2011 წლის 4 ნოემბერი N412 და 2013 წლის 29 ივლისი N187

ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები სრულად. სახელმწიფო ფართების, როგორც ცალკე უფლების ობიექტებად რეგისტრაციის გამო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, შეჩერებულ იქნა ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. უნივერსიტეტის თხოვნაზე მომხდარიყო გადმოცემული ქონების ნაწილის ცალკე სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის გაუქმება, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ კონკრეტული პასუხი არ იქნა გაცემული. შესაბამისად, სასწავლებლის სასარგებლოდ ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შეწყდა. შედეგად, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციით⁴, ნაცვლად მოთხოვნილი ყველა შენობა-ნაგებობისა, სარგებლობის უფლებით გადმოცემულია მხოლოდ შენობა-ნაგებობების გარკვეული ნაწილი, - 3382 კვ.მ. და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

რიგ შემთხვევებში, უნივერსიტეტი ბალანსზე არსებულ ქონებას სათანადოდ ვერ განკარგავს და მისი გამოყენება შეუძლებელია, როგორც ადმინისტრაციული, ასევე ეკონომიკური საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე. სასწავლებელი ვერ ახორციელებს უძრავი ქონების რიგ ობიექტებზე ფაქტობრივ კონტროლს. მაგალითად: ქ. თბილისი, გმირკურსანტთა ქუჩა, №3-ში განთავსებული მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული 7 შენობა-ნაგებობა, ასევე ფუნიკულიორის ზედა პლატოს დასახლებაზე მდებარე შენობა-ნაგებობა, ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №5-ში და ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას N42-44-ში მდებარე შენობა-ნაგებობების ნაწილი, წლების განმავლობაში დაკავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიერ. უნივერსიტეტის მხრიდან უძრავი ქონების ობიექტების „ფსევდომფლობელობას“, პირდაპირი მფლობელობის არარსებობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ უმეტეს შემთხვევაში, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ სასწავლებლის ბალანსზე რიცხული ქონების გასხვისების ან/და მესამე პირზე გადაცემის გადაწყვეტილების მიღება ხდება უნივერსიტეტის მონაწილეობის გარეშე. ობიექტის მიერ შესაბამის საბალანსე მუხლებში კორექტირებების შეტანა ხორციელდება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გადამოწმების საფუძველზე.

უნივერსიტეტის ბალანსზე 01.01.2014 წლის მდგომარეობით ასახულია უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობი) საბალანსო ღირებულებით 1 470 729 ლარი, რომელზეც არ ხორციელდება ფაქტობრივი კონტროლი. აღნიშნული აქტივები აყალიბებენ ქონების გადასახადით დასაბეგრ ბაზას. ასევე, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ქონების ფლობა რისკის შემცველია არა მარტო რაციონალური საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების კუთხით, არამედ ძირითად აქტივებზე საექსპლუატაციო ხარჯების გაწევის თვალსაზრისითაც. სამართლებრივად

⁴ 2014 წლის 14 მაისი N5/16808

„მყოფე“ ქონებრივი ბაზა შეუძლებელს ხდის ძირითადი აქტივების ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებს და მათ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.

1.2 კრიტიკიუმი: ობიექტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და აქტივს, რომელიც საჭიროებს სათანადო მოვლას და რომელთა მიხედვითაც დაცული უნდა იყოს შენახვის და ექსპლუატაციის ნორმალური პირობები. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ძირითადი აქტივები ასრულებს ძირითადი და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელების მხარდამჭერ ფუნქციას.

გამოვლენილი გარემოება: - რეგიონებში განთავსებული შენობა-ნაგებობების უმეტესობა, საჭიროებს რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციას და აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. ამასთან რიგ შემთხვევებში უძრავი ქონების ობიექტებს დაკარგული აქვთ პირვანდელი მატერიალური ფორმა და მისი გამოყენება შეუძლებელია საწესდებო საქმიანობის განხორციელების მიზნით. მაგალითად, ბაკურიანში, მთის ქ. №37-ში არსებული შენობა-ნაგებობები, რომელიც „ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის“ შემოერთების შემდგომ ირიცხება უნივერსიტეტის ბალანსზე, სრულად არის დაშლილ მდგომარეობაში. ასევე, დუშეთში მდებარე პალეომაგნიტური სადგურის ორი ორსართულიანი სახლისაგან დარჩენილია მხოლოდ კარკასი. დანგრეულია ონის რაიონის სოფ. გოლაში არსებული ეკოლოგია-ჰიდრობიოლოგიის კათედრის შენობა და ყაზბეგის რაიონში მდებარე, გ. ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბის ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა. დაშლილია ჩოხატაურის რაიონში განთავსებული ვ.ბაგრატიონის გეოგრაფიის კვლევითი ინსტიტუტის ბახმაროს სტაციონარი.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და ბალანსის დანართი ფორმების მიხედვით, 2012 წლის დასაწყისისთვის სასწავლებელს ძირითადი აქტივების სახით ერიცხებოდა 41 482 803 ლარის ქონება, რომელიც აუდიტის პერიოდში გაიზარდა (ძირითადად აფასებით) და 95 823 692 ლარი შეადგინა, მათ შორის 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უნივერსიტეტს ერიცხებოდა 125 ერთეული სხვადასხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალება აქედან, მუშა მდგომარეობაში იყო მხოლოდ 43 ერთეული. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 118 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება 131615 ლარის ღირებულებით, აქედან მუშა მდგომარეობაში იყო 48 ერთეული, საწვავის ხარჯი ჩამოწერილია საშუალოდ 35 ერთეულზე. სასწავლებელზე რიცხული ავტომანქანების 60% და მუშა მდგომარეობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებების 27% დაუტვირთავია. ამასთან, ავტოპარკი საკმაოდ მოძველებულია, ავტოსატრანსპორტო საშუალებების 89% ექსპლუატაციაში შესულია 1963-2000 წლებში.

უნივერსიტეტის მიერ აქტივად არის აღიარებული ქონების ის ერთეულები, რომელთა მიხედვითაც მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება შეუძლებელია, ასევე მათი საბალანსო ღირებულება არსებითად განსხვავდება რეალური, სამართლიანი ღირებულებისაგან. უძრავი ქონების ზოგიერთი ობიექტის რეალური ფუნქციონალური

სტატუსი არ შეესაბამება უნივერსიტეტის საქმიანობის სადამფუძნებლო მიმართულებებს და მისი გამოყენება ადმინისტრაციული და ეკონომიკური დანიშნულებით შეუძლებელია.

რეკომენდაციები:

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

- დადგინდეს სასწავლებლის მიერ ბალანსზე აღრიცხული ქონების ფაქტიური მოსარგებლე და გამოუყენებლობის შემთხვევაში განხორციელდეს ფაქტიური მოსარგებლისთვის ქონების გადაცემის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები;

უნივერსიტეტს:

- ჩატარდეს ძირითადი საშუალებების სრული ინვენტარიზაცია და დადგინდეს უძრავი და მოძრავი ქონების საექსპლუატაციო მდგომარეობა. ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდეს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები, მათი ჩამოწერა ან შემდგომი განკარგვა განხორციელდეს არსებული წესით;
- გადაფასდეს ის უძრავი ქონება, რომელთა მიხედვითაც რეალური, სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება საბალანსო ღირებულებისგან.

2.შემოსავლები

უნივერსიტეტის შემოსავლის ფორმირების წყაროებია: 1. საბიუჯეტო სახსრები, რომელიც გამოიყოფა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სახელობითი სტიპენდიების დასაფინანსებლად; 2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება; 3. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები; 4. ეკონომიური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან კონკურსებით მოპოვებულ, ასევე სასწავლო და სასწავლო სამაგისტრო გრანტებს, სტუდენტების მიერ გადახდილ სწავლის საფასურს, საიჯარო გადასახადს, სახელშეკრულებო პირობებით შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურებას და სხვა შემოსავლებს. 2012-2013 წლებში უნივერსიტეტის საოპერაციო შემოსავალმა სულ შეადგინა 115 682 030 ლარი.

	2012 წელი	2013 წელი	+/-
საბიუჯეტო დაფინანსება			
სუბსიდია (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	4 568 215.00	4 185 247.00	-382 968
სახელმწიფო სტიპენდია	519 750.00	999 150.00	479 400
სულ	5 087 965.00	5 184 397.00	96 432
საერთაშორისო სამეცნიერო გრანტი და პროგრამული დაფინანსება			
საერთაშორისო სამეცნიერო გრანტი	3 842 400.00	1 924 097.00	-1 918 303
სულ	3 842 400.00	1 924 097.00	-1 918 303
პროგრამული დაფინანსება(ზამთრის სკოლა; ბიბლიოთეკის განვითარების)		322 276.00	322 276
სულ		322 276.00*	322 276
სამეცნიერო საგრანტო დაფინანსება (რუსთაველის ფონდი)			
რუსთაველის ფონდის სამეცნიერო გრანტი	2 958 777.00	6 287 054.00	3 328 277
სულ	2 958 777.00	6 287 054.00	3 328 277
ეკონომიკური შემოსავლები			
სასწავლო და სასწავლო სამაგისტრო გრანტები	17 080 446	20 444 524	3 364 078
სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადი	23 560 888	24 617 683	1 056 795
სახელშეკრულებო პირობებით შესრულებული სამუშაოები	1 206 102	576 849	-629 253
სხვა შემოსავლები	1 274 058	1 314 514	40 458
სულ	43 121 494	46 953 570	3 832 076
ჯამი	55 010 636	60 671 394	5 660 758

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან 2013 წლის დეკემბერში მიღებული პროგრამული დაფინანსების (322 276 ლარი) ხარჯვა უნდა მომხდარიყო 2014 წელს.

2.1. სახელმწიფო სასწავლო/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი

2.1.1 კრიტერიუმი: უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტების მეშვეობით, სტუდენტის მიერ მათი მოპოვების შემთხვევაში- ბაკალავრიატის დროს 4 აკადემიური წლის,

ხოლო მაგისტრატურის- 2 აკადემიური წლის ვადით. აღნიშნული გრანტების მოპოვება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით.

სამინისტრო, უნივერსიტეტს ყოველსემესტრულ ტრანშებად ურიცხავს სტუდენტების მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტების შესაბამის თანხას. ყოველი სასწავლო წლის 1 ნოემბრამდე (სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში 15 ნოემბრამდე)/1 აპრილამდე სასწავლო სემესტრის შესაბამისად, უნივერსიტეტი ვალდებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, აცნობოს სტუდენტების სტატუსის ცვლილების შესახებ, რეესტრში/მონაცემთა ბაზაში მისი დაფიქსირების გზით.⁵ ასევე, დაუდასტუროს იმ სტუდენტების სიის სისწორე რომლებიც მოცემულ სემესტრში სარგებლობენ აქტიური სტუდენტის სტატუსით და ეკუთვნით სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი. თავის მხრივ, ცენტრი დაზუსტებულ ინფორმაციას წარუდგენს სამინისტროს, რის საფუძველზეც სამინისტროს მიერ ხორციელდება თანხის ჩარიცხვა.⁶ გრანტის მისაღებ სტუდენტების კონტინგენტში არ უნდა შედიოდნენ ის პირები, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული/შეწყვეტილი აქვთ შესაბამისი სასწავლო სემესტრის 15 ნოემბრამდე (15 ნოემბრამდე)/1 აპრილამდე.⁷

იმ სტუდენტებს, რომლებსაც 15 ნოემბრამდე/1 აპრილამდე შეწყვეტილი/შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი, უნივერსიტეტი ვალდებულია ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში 1 დღის ვადაში ასახოს მონაცემი, რათა არ ჩაირიცხოს მსგავსი სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის სწავლის საფასური.⁸ იმ შემთხვევაში, თუ სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა მოხდება 1 ნოემბრის (15 ნოემბრის)/1 აპრილის შემდეგ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეინარჩუნოს გრანტი 1 ნოემბრამდე (15 ნოემბრამდე მაგისტრატურის შემთხვევაში) თუ სტუდენტს სტატუსი შეუწყდა 1 აპრილის შემდგომ და 1 აპრილამდე, თუ სტუდენტს სტატუსი შეუწყდა 1 ნოემბრის (15 ნოემბრის შემდგომ მაგისტრატურის შემთხვევაში) შემდგომ.⁹

გამოვლენილი გარემოება:

- 2012-2013 კალენდარული წლების¹⁰ განმავლობაში, ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, 11 სტუდენტს, რომლებსაც, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მოპოვებული არ ჰქონდათ სახელმწიფო სასწავლო/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი, სამინისტროს მიერ უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხულია სწავლის საფასური, რაც ჯამში შეადგენს **21262 ლარს**. ამასთან,

⁵ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N154/ნ, მუხლი 8, პუნქტი 4

⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N154/ნ, მუხლი 5

⁷ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N154/ნ, მუხლი 5, პუნქტი 3

⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N127/ნ, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 6, პუნქტი 3

⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N154/ნ, მუხლი 10

¹⁰ 2012-2013 კალენდარული წლები- 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი, 2012-2013 სასწავლო წელი, 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი.

დაფინანსების პარალელურად მოცემული სტუდენტები თავადაც იხდიდნენ სწავლის საფასურს.

- 2012-2013 კალენდარულ წლებში, ცენტრის მიერ სამინისტროსათვის გადაცემულ სიაში ფიქსირდება 34 სტუდენტი, რომლებსაც სტატუსი შეუჩერდათ/შეუწყდათ შესაბამისი სასწავლო სემესტრის 1 ნომბრამდე (15 ნომბრამდე) 1 აპრილამდე. აღნიშნულ ჯგუფზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ჩარიცხულია სახელმწიფო სასწავლო გრანტი **26250** ლარის ოდენობით.

სასწავლო და სასწავლო სამაგისტრო გრანტები

სტუდენტების ჯგუფი	სტუდენტების რაოდენობა	თანხა
გრანტის არ მქონე	11	21262
შეჩერებული/შეწყვეტილი სტატუსით	34	26250
სულ:	45	47512

- ამასთან, 68 სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა/შეუწყდა 1 ნომბრის (15 ნომბრის)/1 აპრილის შემდეგ, რომელთა მიხედვით უნივერსიტეტს იმავე სემესტრებში ჩაერიცხა სახელმწიფო სასწავლო გრანტი. მოცემული რაოდენობიდან ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის¹¹ გაუვლელობის გამო სტატუსი შეუჩერდა 25 სტუდენტს, რომელთა მიხედვით უნივერსიტეტმა მიიღო **26437** ოდენობის შემოსავალი. უნივერსიტეტში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია სრულდება სექტემბრის თვეში შემოდგომის სემესტრის დროს, ხოლო მარტის თვეში გაზაფხულის სემესტრის დროს.¹² ხოლო, ცენტრში წარსადგენი ინფორმაციის ვადებია - 1 ნომბერი (15 ნომბერი მაგისტრატურის შემთხვევაში) და 1 აპრილი სასწავლო სემესტრების შესაბამისად. აღნიშნული სტუდენტების მიხედვით უნივერსიტეტის მიერ რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა დაფიქსირდა რექტორის ბრძანების გამოცემის თარიღიდან ერთი დღის ვადაში და არა დაუყოვნებლივ, მაშინ როდესაც წარმოიშვა რეესტრში შესაბამისი ცვლილების საფუძველი.¹³ მოცემულ შემთხვევებში (25 შემთხვევა) სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების საფუძველი ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო წარმოიშვა 1 ნომბრამდე და 1 აპრილამდე, ხოლო რექტორის

¹¹ ადმინისტრაციული რეგისტრაცია-სტუდენტის მიერ სწავლის სემესტრული გადასახადის გადახდა, რის შემდეგაც იგი უფლებამოსილია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია
აკადემიური რეგისტრაცია-სასწავლო კურსებზე დარეგისტრირება, რის შემდეგაც სტუდენტი უფლებამოსილია სრულყოფილად ჩაერთოს სასწავლო პროცესში

12 ბრძანება N 92/01-01, ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ

¹³ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N127/ნ, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 6

ბრძანება გამოიცა დაგვიანებით 15ოქტომბრის/1აპრილის შემდეგ. აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაუვლელობის საფუძველით სტატუსშეჩერებული/შეწყვეტილი სტუდენტების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტს უნდა აესახა რეესტრში რეგისტრაციის ვადების დასრულებისთანავე.

სტუდენტების მოცემული ჯგუფების მიხედვით უნივერსიტეტის მიერ ზედმეტად მიღებულმა სახელმწიფო სასწავლო და სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხამ შეადგინა 73949 ლარი.

2.1.2 კრიტერიუმი: სტუდენტი ვალდებულია ყოველსემესტრულად დაფაროს სწავლის გადასახადი. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს სტატუსი.¹⁴ თანხის გადახდის ვადებს აწესებს უნივერსიტეტი (ადმინისტრაციული რეგისტრაცია), რის შემდეგაც სტუდენტს ეძლევა უფლება აირჩიოს საგნები (აკადემიური რეგისტრაცია). აღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ სტუდენტს ენიჭება აქტიური სტატუსი მომდევნო სემესტრამდე.

ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის პროცესი კონტროლდება უნივერსიტეტის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ, რისი მეშვეობითაც ხდება სტუდენტების მხრიდან წარმოშობილი დავალიანების დაფიქსირება თანხის გადაუხდელობის ან ნაწილობრივ გადახდის დროს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ფარავს სწავლის გადასახადს სრულად, ის წერილობით მიმართავს უნივერსიტეტის კანცელარიას თანხის ეტაპობრივად გადახდის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სტუდენტს არ უჩერდება სტატუსი და ეძლევა საშუალება გააგრძელოს სწავლა. აღნიშნული პროცესი უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომელიც გულისხმობს სემესტრული სწავლის საფასურის რამდენიმე ნაწილად გადახდას.

გამოვლენილი გარემოება. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით 2012 წელს დავალიანების მქონე სტუდენტების რიცხვი შეადგენდა 3211-ს, აქედან აქტიური სტუდენტის სტატუსს ინარჩუნებდა 2176 მათგანი. მოცემულ პერიოდში უნივერსიტეტში დარეგისტრირდა 1390 განცხადება სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის თაობაზე. ამავე წელს, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო, სტატუსი შეუჩერდა 3533 სტუდენტს.¹⁵

2013 წლის ანალოგიური მონაცემებია: დავალიანება ჰქონდა 9180 სტუდენტს, აქედან 7237 მათგანი ინარჩუნებდა აქტიურ სტუდენტის სტატუსს. ხოლო, განცხადება ეტაპობრივად

¹⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N208/ნ, მუხლი 60, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტი-სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა, 2011 წლის 28 დეკემბერი, ქ. თბილისი

¹⁵ ¹² აღნიშნული მონაცემები ითვალისწინებს იმ სტუდენტების ჯგუფსაც რომლებსაც არ ქონიათ დავალიანება წინა სასწავლო სემესტრებში.

გადახდის შესახებ დაარეგისტრირა 4599 სტუდენტმა. ამავე წელს, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტატუსი შეუჩერდა 2715 სტუდენტს.¹⁶

წელი	დავალიანების მქონე სტუდენტები	დავალიანების მქონე სტუდენტების რაოდენობიდან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები	სტუდენტები შეჩერებული სტატუსით	სწავლის საფასურის გადავადების თაობაზე განცხადების რაოდენობა
2012	3211	2176	3533	1390
2013	9180	7237	2715	4599

სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება ხდება არაერთგვაროვნად. დავალიანების მქონე სტუდენტების გარკვეულ ჯგუფს არ აქვს განცხადება დაწერილი და ინარჩუნებს აქტიური სტუდენტის სტატუსს, ხოლო ნაწილ მათგანს სტატუსი შეჩერებული აქვს.

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს და უნივერსიტეტს:


- დაინერგოს კონტროლის უფრო საიმედო და ეფექტიანი მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში სტუდენტის სტატუსის ცვლილების დროულად ასახვის მიზნით;
- გონივრული პერიოდულობით განხორციელდეს კომუნიკაცია უნივერსიტეტსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის, რათა გაუმჯობესდეს კონტროლის გარემო და მინიმუმამდე იქნას შემცირებული სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტების არასწორად ჩარიცხვის რისკი;

უნივერსიტეტს:

- სტუდენტენთა მონაცემთა ბაზებში ასახული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდეს შიდა კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი;
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს არასწორად ჩარიცხული სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის კორექტირება/უკან დაბრუნება.

2.2. იჯარა

2012 - 2013 წლებში უძრავი ქონების იჯარის ფორმით გაცემის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 126 868 ლარი, მათ შორის:



ქვემოთ მოცემულია თსუ-ს მიერ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების დინამიკა წლების მიხედვით:

წელი	წლის დასაწყისი	გაფორმდა	შეწყდა	წლის ბოლოს
2012	6	1	2	5
2013	5	3	3	5

სულ აუდიტის პერიოდში, თსუ-ს სხვადასხვა პირთან გაფორმებული ჰქონდა 10 ხელშეკრულება ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ. საიჯარო ფართი ჯამში შეადგენდა 935.9 კვ.მ-ს. 2013 წლის ბოლოსათვის მოქმედებდა 5 ხელშეკრულება, რომლის მიხედვით იჯარით გაცემულმა ფართმა შეადგინა 631.45 კვ.მ.

2.2.1 კრიტერიუმი: თსუ-ს მიერ მოიჯარებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, საიჯარო ქირის გადახდის დადგენილი ვადების დარღვევისათვის ითვალისწინებდა ჯარიმის დარიცხვას, კერძოდ 0.1% ან/და 0.9% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გამოვლენილი გარემოება: ცხრილში მითითებული მოიჯარეების მიერ თანხის გადახდა ხორციელდებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევით, ხოლო უნივერსიტეტის მხრიდან არ ხდებოდა მათზე ჯარიმის დარიცხვა.

მოიჯარის დასახელება	ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი	ქირის ოდენობა თვეში	ჯარიმის ოდენობა ერთ დღეზე	ჯარიმა - დასარიცხი თანხა	ვადაგადაცილებული დღეების საერთო რაოდენობა
„შპს უნივერსიტი 2009“	13.05.2010წ 19.10.2013წ	590.00 ლარი	0.9%	1652.00	262
„ი/მ ნოდარ იოსელიანი“	23.09.2013წ 08.01.2014წ	9322 ლარი/14.11.2013 დან 7.900 ლარი	0.1%	568.00	67
„შპს ადგესა“	26.10.2012წ 26.10.2017წ	1401.84 ლარი	0.1%	561.00	401
„ი/მ ლელა გვაზავა“	13.12.2011წ 13.12.2016წ	1562.25 ლარი	0.1%	1138.00	730
„ი/მ ბესიკ ლაშქარაძე“	11.11.2011წ 30.01.2012წ	3252.08 ლარი	0.1%	88.00	27
„ი/მ იზოლდა კოკია“	01.07.2010წ 11.02.2012წ	361. 96 ლარი	0.9%	500.00	42

უნივერსიტეტმა ვერ მიიღო 4510 ლარის შემოსავალი.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტს:

- განახორციელოს მოიჯარეების მიერ გადასახდელი მიმდინარე გადასახადების დროული მონიტორინგი. საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში სასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზომები დებიტორული დავალიანების დასაფარად. ვადაგადაცილების შემთხვევაში მოიჯარეს დამატებით დაერიცხოს საურავი.

2.2.2 კრიტერიუმი - საიჯარო ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს, საიჯარო ქირის ოდენობა, რომელიც ელექტრონულ აუქციონზე ვაჭრობის შედეგად 1 კვ.მ ფართზე საიჯარო ქირის დადგენით განისაზღვრება და მას საფუძვლად უდევს დროებით სარგებლობაში გადასაცემი არასაცხოვრებელი ფართის სიდიდე. ამასთან, ხელშეკრულებით განისაზღვრება საიჯარო ფართის პარამეტრები.

გამოვლენილი გარემოება: აუქციონის შედეგების შესაბამისად, 2013 წლის 20 აგვისტოს უნივერსიტეტსა და ფ/პ ზაზა კაცაძეს შორის გაფორმდა №490/08 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც ორი წლის ვადით, ყოველთვიური საიჯარო გადასახადი -4500 ლარი,

იჯარის წესით გაიცა ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1-ში, პირველი სასწავლო კორპუსის ეზოში მდებარე ორსართულიანი შენობის პირველ და მეორე სართულებზე არსებული სამზარეულო, სამრეცხაო, საოფისე და დამხმარე ფართი - ჯამში 240.00 კვადრატული მეტრი. ჯგუფის მიერ ქონების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოიჯარე 240.00 კვ.მ ფართის გარდა ასევე სარგებლობს - პირველ სართულზე არსებული 187.13 კვ.მ ფართობის მქონე სასადილო დარბაზით და 53.10 კვ.მ შესასვლელი ფოიეთი, ამასთან, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოიჯარის განკარგულებაშია დარბაზში განთავსებული სასადილო დანიშნულების ფურნიტურა.

2013 წლის 11 სექტემბერს სასწავლებელსა და ფ/პ ნოდარ იოსელიანს შორის 274.00 კვადრატულ მეტრზე გაფორმებული იქნა უძრავი ქონების იჯარის შესახებ №511/08 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც საიჯარო შემოსავალმა თვეში 7900 ლარი შეადგინა. როგორც დადასტურდა, აღნიშნულ შემთხვევაშიც ადგილი ქონდა მოიჯარის მხრიდან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართობის გარდა უსაფუძვლოდ, უსასყიდლოდ 177.00 კვ.მ დარბაზის ფართით და მაგიდა-სკამებით სარგებლობის ფაქტს.

2012 წლის 25 ოქტომბერს უნივერსიტეტსა და შპს „ადვესა“-ს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს სხვადასხვა სასწავლო კორპუსებში (ელ. სავაჭრო) აპარატების განთავსების მიზნით 18 კვადრატული მეტრის არასაცხოვრებელი უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემა. აუქციონის შედეგების შესაბამისად, ყოველთვიურმა საიჯარო გადასახადმა 1402 ლარი შეადგინა. აუდიტის ჯგუფის მიერ იჯარით გაცემული ქონების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოიჯარის მიერ სასწავლებლის ტერიტორიაზე განთავსებულ ელ. სავაჭრო აპარატებს, ნაცვლად ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული 1 კვ.მ-ისა დაკავებული აქვთ საშუალოდ 1.30 კვ.მ.

როგორც ცხრილიდან ჩანს, აუდიტის პერიოდში მოიჯარეების ფაქტობრივ სარგებლობაში (მფლობელობაში) და ხელშეკრულებით განსაზღვრულ არასაცხოვრებელ ფართებს შორის სხვაობამ შეადგინა დაახლოებით 422 კვადრატული მეტრი. შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ 2012-2013 წლებში მოიჯარეების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული არასაცხოვრებელი ფართები არ იქნა გამოყენებული დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროდ. ამასთან, მოიჯარეების უსასყიდლო სარგებლობაში იყო სასწავლებლის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მაგიდები-სკამები).

მოიჯარე	ზაზა კაცაძე	ნოდარ იოსელიანი	შპს „ადვესა“
სახელშეკრულებო ფართი	240	274	18
უფლების გარეშე დაკავებული ფართი	240	177	5.4
სულ სარგებლობაში არსებული ფართი	480	451	23.4

2.2.3 კრიტერიუმი: საიჯარო ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენს მოიჯარეების ვალდებულება იჯარით აღებულ ფართებში კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის გადახდის აღრიცხვის მიზნით ცალკე აბონენტებად რეგისტრაცია.

გამოვლენილი გარემოება: შერჩევითი შემოწმებით დადგინდა, რომ კონკრეტული მოიჯარეების: „ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის“, შპს „უნივერსისი 2009“ მიერ არ მომხდარა მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვის მიზნით ცალკე აბონენტად რეგისტრირება. სასწავლებლის სააღრიცხვო რეგისტრებში არ არის ასახული მოცემული პირების მიმართ დებიტორული დავალიანებების (მოთხოვნის) არსებობის ფაქტი. ვერ იქნა წარმოდგენილი მოიჯარეების მიერ საიჯარო ფართში განხორციელებული საქმიანობის დროს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტი.

მოცემული საიჯარო ხელშეკრულებების ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ კომუნალურ გადასახადებზე გაწეულია არამიზნობრივი ხარჯი.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტს:

- შესაბამისი ტექნიკური პირობების არსებობის შემთხვევაში განხორციელდეს მოიჯარეების ცალკე აბონენტად რეგისტრირება. იმ შემთხვევაში თუ ეს შეუძლებელია, საექსპერტო შეფასების საფუძველზე განხორციელდეს მათი მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობების დადგენა და მოიჯარეების მიერ მისი გადახდა.


3. ხარჯები

უნივერსიტეტმა 2012-2013 წლებში გაწია 116 673 832 ლარის ფაქტიური და 111 657 835 ლარის საკასო ხარჯი, საიდანაც ძირითადი ნაწილი 83 247 101 ლარი ანუ მთლიანი საკასო ხარჯის 74.6% მოდის შრომის ანაზღაურებაზე.

	2012 წელი	2013 წელი	+/-
საბიუჯეტო დაფინანსებიდან გაწეული ხარჯები			
შრომის ანაზღაურება	4 228 627.00	3 776 969.00	-451 568

საქონელი და მომსახურება	172 583.00	394 407.00	221 824
წარმომადგენლობითი	167 005.00	13 872.00	-153 133
სტიპენდია	519 750.00	999 150.00	479 400
სულ	5087965.00	5184398.00	96 433
სამეცნიერო გრანტებიდან გაწეული ხარჯები			
საერთაშორისო გრანტი			
შრომის ანაზღაურება	1 247 358.00	1 561 771.00	314 413
საქონელი და მომსახურება	1 030 901.00	1 355 657.00	324 756
არაფინანსური აქტივების შეძენა	278 702.00	173 977.00	-104 725
სტიპენდია	157 540.00	174 710.00	17 170
წარმომადგენლობითი	0.00	62 630.00	62 630
სულ	2714501.00	3328 745.00	614 244
ეროვნული სამეცნიერო გრანტი (რუსთაველის ფონდი)			
შრომის ანაზღაურება	2 302 301.00	3 634 813.00	1 332 512
საქონელი და მომსახურება	928 610.00	716 581.00	-212 029
არაფინანსური აქტივების შეძენა	143 931.00	314 871.00	170 940
სულ	3374842.00	4666 265.00	1 291 423
ეკონომიკური შემოსავლებიდან გაწეული ხარჯი			
შრომის ანაზღაურება	32515442.00	33979820.00	1 464 378
საქონელი და მომსახურება	6731261.00	6077603.00	-653 658
საბიუჯეტო გადასახდელები	895142.00	1904680.00	1 009 538
სტიპენდია	45 555.00	54 834.00	9 279
წარმომადგენლობითი	643 909.00	432 114.00	-211 735
ძირითადი საშუალებების შეძენა და სარემონტო სამუშაოები	2598887.00	1421872.00	-1 177 015
სულ	43430196.00	43870923.00	440 727
ჯამი	54 607 504	57 050 331	2 442 827

როგორც ცხრილიდან ჩანს აუდიტის პერიოდში სასწავლებლის ხარჯები გაზრდილია 2 442 857 ლარით (4.5%), საიდანაც აღსანიშნავია შრომის ანაზღაურება, რომელიც მთლიანი ხარჯებში მნიშვნელოვან ხვედრით წილს იკავებს.



3.1. შრომის ანაზღაურება.

ადამიანური რესურსი

N	2012 წლის იანვარი			2013 წლის დეკემბერი		
	პერსონალის კატეგორია	დასაქმებული.(შტა ტით)	ხელშეკრულე ბით დასაქმებული (შტატგარეშე)	დასაქმებუ ლი (შტატით	ხელშეკრულე ბით დასაქმებული (შტატგარეშე)	+ / -
1	აკადემიური პერსონალი	672		704		32
2	ფაკულტეტებზე მოწვეული პედაგოგები (შტატგარეშე)		879		1038	159
3	ადმინისტრაციული, დამხმარე და სხვა პერსონალი	738		749		11
4	დამხმარე პერსონალი და მასწავლებლები ხელშეკრულებით (შტატგარეშე)		1098		1260	162

5	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	1368		1284	-84
6	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა ხელშეკრულებით (შტატგარეშე)		95	184	89
7	სულ	2778	2072	2737	2482
		4850		5219	369

აუდიტის პერიოდში სასწავლებლის პერსონალის რიცხოვნობა გაზრდილია 369 ერთეულით. ძირითადი მატება აღინიშნება სხვადასხვა კატეგორიის შტატგარეშე თანამშრომლების მიხედვით.

სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების რიცხოვნობის და ხელფასის ფონდის ხვედრითი წილი საერთო მოცულობაში:

პოზიცია	რიც-ბა	ხელფას. წლიური ფონდი	რიც-ბა %	ხელფას ი %
ადმინისტრაცია (ცენტრალური, ტურიზმის ინსტიტუტი, ფაკულტეტები)	1005	9051020	19.2	24.4
მასწავლებლები (ფაკულტეტები და ცენტრი	209	1763580	4	4.8
ფაკ. ლაბორატორიის თანამშრომლები	201	1251890	3.9	3.4
საგან.ერთ-ცენტრი ინსტიტუტი. კვ. ინსტიტ.	125	678050	2.4	1.8
კულტ-სპორტი. მუზეუმი, საზ.ურთ.გაზეთი, გამომცემლობა და ბიბლიოთეკა.	226	1864584	4.3	5
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	237	1083010	4.5	2.9
აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედ.	1832	17644020	35.1	47.6
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები	1256	3390949	24.1	9.2
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	128	327660	2.5	0.9
სულ	5219	37054763	100	100

როგორც ცხრილიდან ჩანს ცენტრალური ადმინისტრაციის ანუ მმართველობითი პერსონალის რიცხოვნობა მთლიანი შემადგენლობის 19.2%-ა, აქედან გამოსაყოფია რექტორის აპარატის რიცხოვნობა. იმის გარდა, რომ მასთან არსებობს ცხრა პერსონისგან შემდგარი მრჩეველთა საბჭო, საიდანაც ექვსი მათგანი საპატიო წოდების მქონე ემირეტუსია, ხოლო სამი მრჩეველთა საბჭოს წევრი(დამატებითი ანაზღაურებით), ჰყავს სამი მოადგილე, სამი მრჩეველი, ხუთი თანაშემწე და სამი კონსულტანტი, სულ 23 თანამშრომელი.

საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის საშუალო თვიური ხელფასი

პერსონალის კატეგორია	2012 წლის იანვარი	2013 წლის დეკემბერი	ცვლილება	
	საშუალო ხელფასი თვეში(ლარი)	საშუალო ხელფასი თვეში (ლარი)		
აკადემიური პერსონალი*	1350	1531	+181	13.4%
ადმინისტრაციულ-დამხმარე და სხვა (მასწავლებლები) პერსონალი	815	863	+48	5.9%
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის პერსონალი	230	230	0	

*აკადემიური პერსონალის საშუალო ხელფასი გაანგარიშებულია დანამატის გათვალისწინებით, ფაქტიურად დასაქმებული პერსონალის კატეგორიების მიხედვით

აუდიტის პერიოდში აკადემიური პერსონალის საშუალო თვიური ხელფასი (დანამატის ჩათვლით) გაზრდილია 13.4%-ით, ადმინისტრაციულის - 5.9%-ით, უცვლელია ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სარგოები.

შრომის ანაზღაურების დანახარჯი

	2012	2013	+/-
1 შტატის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგო	16633385	18654680	2021295
2 შტატის თანამშრომელთა დანამატი ხელფასზე	5305768	4432150	-873 618
მ. შ აკადემიური პერსონალი	4829583	3924714	-904 869
მ. შ. ადმინისტრაციული პერსონალი	463877	493091	29 214
მ. შ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პერსონალი	12308	14345	2037

3	შტატის თანამშრომელთა პრემია	1318309	1359927	41 618
4	შტატგარეშე თანამშრომელთა ძირითადი ხელფასები	7187741	7370409	182668
5	შტატგარეშე თანამშრომელთა დანამატი ხელფასზე	13487	16026	2539
	მ. შ აკადემიური პერსონალი	0.00	0.00	
	მ. შ. ადმინისტრაციული პერსონალი	13287	16026	2739
	მ. შ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პერსონალი	200	0.00	-200
6	შტატგარეშე თანამშრომელთა პრემია	680218	750957	70 739
7	მოწვეული პედ.საათობრივი ანაზღაურება	3203783	3468489	264 706
	სახელმწიფო ურთიერთობით შესრულებული			
8	სამუშაოს ანაზღაურება	1925133	1603968	-321 165
9	ბიულეტენი	66231	68073	1842
10	სარჩო	504	504	
11	სხვა განაცემები	85923	53213	-32 710
		36420483	37778396	1 357 913

აუდიტის პერიოდში შრომის ანაზღაურების ხარჯები გაზრდილია 1 357 913 ლარით (3.7%), საიდანაც აღსანიშნავია ადმინისტრაციულ პერსონალზე დარიცხული დანამატისა და პრემიის ხარჯების ზრდა, შესაბამისად 31 953 (6.7%) და 112 357 (5.6%) ლარით.

3.1.1.პრემია

აუდიტის პერიოდში აკადემიურ, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს დაერიცხათ 4 109 411 ლარის პრემია.

N	პოზიცია	დარიცხული პრემია	%	დაფინანსების წყარო
1	ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი	3 846 127	93.6	ეკონ/შემოს
2	აკადემიური პერსონალი	20 100	0.5	ეკონ/შემოს
3	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სამეცნიერო ბიბლიოთეკა	243 184	5.9	ეკონ/შემოს სახ. ბიუჯეტი
			2.4%	3.5%
	სულ	4 109 411	100	

აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე დარიცხული პრემიების (92%) ფორმალურ საფუძვლად მითითებულია „მატერიალური წახალისება“, ასევე „აქტიური საქმიანობა“ და „დამატებითი სამუშაოს შესრულება“. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებზე დარიცხული პრემიის

მნიშვნელოვანი ნაწილი (59%) წარმოადგენდა წლის ბოლოს მათთვის საბიუჯეტო ასიგნებებით განსაზღვრული სახსრების ეკონომიის შედეგად დარჩენილ ასიგნებებს. ექვს შემთხვევაში 18 247 ლარის პრემია დარიცხულია ფორმალური საფუძვლის გარეშე.

სასწავლებლის თანამშრომლებზე პრემიების მნიშვნელოვანი ნაწილი დარიცხულია მხოლოდ ფორმალური საფუძვლით, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მისი გაცემის მატერიალური აუდიტორული მტკიცებულებები.

2012-2013 წლებში 355 თანამშრომელზე თითქმის ერთი და იგივე ფორმალური საფუძვლით ერთდროულად დარიცხულია 628 255 ლარის სახელფასო დანამატი და 903 619 ლარის პრემია.

		2012			2013		
N	პერსონალი	რა- ობა	დანამატი	პრემია	რა- ობა	დანამატი	პრემია
	ადმინისტრაცია						
1	და დამხმარე	152	289 318	343 002	158	243 811	386 520
2	აკადემიური	31	70 145	93 947	14	24 981	80 150

3.1.2. სახელფასო დანამატი

3.1.2.1 კრიტერიუმი: დანამატი მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისთვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს. სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოხელეს ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში, დადგენილი წესით, საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესოს სხვა დანამატები¹⁷. უცხოური გამოცდილება და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა (არა ფორმალიზაციის დონეზე) ცნობს ორი სახის სახელფასო დანამატს - ფუნქციური და მიზნობრივი. ფუნქციური სახელფასო დანამატი ეს არის დამატებითი ანაზღაურება ზეგანაკვეთური (არასამუშაო საათები, ღამის ცვლა, უქმე და დასვენების დღეები) სამუშაოსთვის, ასევე დამატებითი ანაზღაურება განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის/სამსახურებრივი ფუნქციების მოსალოდნელზე უკეთ შესრულების გამო. მიზნობრივი სახელფასო დანამატი ანუ

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N67 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს შრომის კოდექსი

„კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატი“ წარმოადგენს მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფიქსირებულ, როგორც აბსოლიტურ, ისე თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში პროცენტულად გამოხატულ დამატებით ანაზღაურებას.¹⁸

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ცნობის და სააღრიცხვო ჩანაწერების მიხედვით 2012-2013 წლებში დარიცხულ შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯიდან (74198879 ლარი (გრანტების გარეშე)) 9 767 431 ლარი შეადგენს სახელფასო დანამატს, საიდანაც 986 281 ლარი დარიცხულია ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე დანამატი გაიცემოდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანებების (უმეტეს შემთხვევაში გამოცემულია წინსწრებით) თანახმად, რომელთა საფუძველს ძირითადად წარმოადგენდა სასწავლებლის ფინანსური და პერსონალის მართვის დეპარტამენტების უფროსების მოხსენებითი ბარათები, სადაც ზოგადად აღნიშნულია, რომ გაიზარდა სამუშაოთა მოცულობა და სპეციფიკა, პასუხისმგებლობა, სრულდება ზეგანაკვეთური სამუშაო და ა.შ. თსუ-ს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან დაფინანსებული ზეგანაკვეთური სამუშაო დრო ანაზღაურდებოდა არა ზედმეტად ნამუშევარი საათობრივი ტარიფის მიხედვით და შესაბამისი ტაბელის საფუძველზე, არამედ ფიქსირებულად, სახელფასო განაკვეთის სხვადასხვა ოდენობით. 2012-2013 წლებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების უმეტეს ნაწილს, რომლებზეც დანამატი გაიცემოდა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების მოტივით, ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილი სამუშაო საათებიდან **თავისუფალ დროს**, შეთავსებული ჰქონდა აკადემიური თანამდებობა ან/და იყო მოწვეული პედაგოგი, ატარებდა სალექციო საათებს და იღებდა დამატებით ანაზღაურებას, რამაც დარიცხული შრომის ანაზღაურების სახით 2637657 ლარი შეადგინა. სასწავლებლის საფინანსო დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-დამხმარე თანამშრომლების მიერ 2012-2013 წლებში არასამუშაო/ ზეგანაკვეთური საათების შესრულების დოკუმენტური (ტაბელი ან აღრიცხვის ჟურნალი) ანდა ელექტრონული ფორმით შექმნილი მტკიცებულება. ამასთან განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით ვერ იქნა მოპოვებული მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა მოცემული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ განსაკუთრებით

¹⁸ პრეზიდენტის 2006 წლის 25 იანვრის N78 ბრძანებულება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოებზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“
მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N127 დადგენილება „საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების და დანამატის შესახებ“
შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის N42 ბრძანება „შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის წესის განსაზღვრის შესახებ“

საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის ან/და სამსახურებრივი ფუნქციების მოსალოდნელზე უკეთ შესრულების რაიმე კონკრეტულ ფაქტს.

მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ფუნქციური სახელფასო დანამატის გაცემის წესი და მისი ოდენობის ფარგლები, შესაბამისად, უნივერსიტეტს გააჩნდა დისკრეცია თვითონ შეემუშაებინა მოცემული სახის შრომის ანაზღაურების გაცემის წესი. უნივერსიტეტის მიერ აუდიტის პერიოდში არ იყო შემუშავებული ფუნქციური სახელფასო დანამატის გაცემის წესი, რითაც განსაზღვრული იქნებოდა მათი გაცემის ინდიკატორები, ფორმალური პროცედურები და ოდენობები. შესაბამისად, ანაზღაურება არ უნდა მომხდარიყო აღწერილი ფორმით, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არ დასტურდება ზედმეტად გაცემული თანხის საფუძვლიანობა და შეუძლებელია დადგინდეს, რამდენად მართლზომიერად არის გაცემული ზეგანაკვეთური ანაზღაურება.

აკადემიური პერსონალი

3.1.2.2 გამოვლენილი გარემოება: აკადემიური პერსონალის მიხედვით დარიცხულმა დანამატის თანხამ 8 754 297ლარი (ანუ მთლიანი დანამატის 90%) შეადგინა. მისი დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებები¹⁹. მოცემული დადგენილებით დანამატის ოდენობა განსხვავებული იყო ფაკულტეტების მიხედვით და მიზნული იყო აკადემიური პერსონალის დატვირთვის სხვადასხვა მაჩვენებელზე. შრომითი ხელშეკრულებით პროფესორის აკადემიური თანამდებობისათვის განსაზღვრული იყო მინიმალური(საბაზისო) დატვირთვის შემდეგი მაჩვენებელი: სრული პროფესორისთვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისთვის - 6 საათი, ხოლო ასისტენტ პროფესორისთვის - 8 საათი; მოცემული საბაზისო დატვირთვის დონეები თანამდებობრივი სარგოების საფუძველს წარმოადგენდა, ასევე აკადემიური საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით გარდა საბაზისო დატვირთვისა განისაზღვრა მინიმალური (სავალდებულო) დატვირთვის 3 დონე თითოეული აკადემიური თანამდებობის პირისთვის და ის შეადგენდა სრული პროფესორისთვის კვირაში არანაკლებ 6 საათს, ან 12 საათს (6 სააუდიტორო და 6 საკონსულტაციო), ან 16 საათს (8 სააუდიტორო და 8 საკონსულტაციო); ასოცირებული პროფესორისთვის კვირაში არანაკლებ 8 საათს, ან 16 საათს (8 სააუდიტორო და 8 საკონსულტაციო) ან 20 საათს (10 სააუდიტორო და 10 საკონსულტაციო) ან 22 საათს (10 სააუდიტორო და 12 საკონსულტაციო), ხოლო ასისტენტ-პროფესორისთვის კვირაში არანაკლებ 10 საათს ან 22 საათს (12 სააუდიტორო და 10 საკონსულტაციო) ან 24 საათს (12 სააუდიტორო და 12 საკონსულტაციო) ან 26 საათს (14 სააუდიტორო და 12 საკონსულტაციო) ასევე სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. მოცემული მინიმალური და სავალდებულო დატვირთვის დონეები წარმოადგენდა აკადემიურ პერსონალზე სახელფასო დანამატების გაცემის პირობას და რანჟირების საფუძველს.

¹⁹ N7/2012 08.02.2012 და N112 04.10.2013

საბაზისო (მინიმალური) დატვირთვის საფუძველზე განსაზღვრული თანამდებობრივი სარგო ყველა ფაკულტეტის მიხედვით 2013 წლის ოქტომბრამდე იყო თანაბარი (სრული პროფესორი-1000, ასოცირებული-800 და ასისტენტი-600 ლარი), ხოლო სახელფასო დანამატის ოდენობა ფაკულტეტების და ზემოაღნიშნული პროფესორის თანამდებობის მიხედვით მერყეობდა 90 ლარიდან 2400-მდე (სამედიცინო ფაკულტეტი 90-130, ეკონომიკისა და იურიდიული ფაკულტეტები 960-2400 ლარი). (სხვადასხვა ფაკულტეტებზე ერთნაირი საათობრივი დატვირთვის პირობებში დარიცხული განსხვავებული დანამატი, განმარტების თანახმად, განპირობებულია სტუდენტთა კონტიგენტის და შესაბამისად ფაკულტეტის ბიუჯეტის მოცულობით).

გამონაკლისს წარმოადგენს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. მოცემული ფაკულტეტის მიხედვით ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით არის განსაზღვრული დანამატის გაცემის წესი და პირობები, სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციური დატვირთვის ის მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში აკადემიურ პერსონალზე გაიცემა სახელფასო დანამატი. გაცემა ხდებოდა ინდივიდუალურად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანებით ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე. მოცემული ფაკულტეტის მიხედვით აუდიტის პერიოდში აკადემიურ პერსონალზე დარიცხულმა სახელფასო დანამატის თანხამ შეადგინა 2 348 611 ლარი.

აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოები და სახელფასო დანამატი გათვლილია სალექციო-საკონსულტაციო საათების ჩატარებასა და სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე. შიდა აუდიტის მონიტორინგის სამმართველოს მიერ კონტროლდება მხოლოდ სალექციო საათების ჩატარების რეალობა. რაც შეეხება საკონსულტაციო საათებს, მისი კონტროლის მექანიზმი არ არსებობს (შიდა აუდიტის სამსახურის დებულება არ ითვალისწინებს), ამიტომ ვერ დგინდება მათი ჩატარების რეალობა. სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიური საბჭოს დადგენილების²⁰ (დანართი1) საფუძველზე, უნდა გამოსცემდეს ყოველწლიურ დასკვნას ფაკულტეტებზე გაწეული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების შესახებ, რაც წარმოადგენილი ვერ იქნა, მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ დღემდე არაა შემუშავებული ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეფასდებოდა აკადემიური პერსონალის მიერ გაწეული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, აღნიშნული კი პირდაპირაა მიზნული მათ შრომის ანაზღაურებაზე.

აკადემიურ პერსონალზე დანამატის (გარდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა) გაცემას საფუძვლად უდევს არარელევანტური, შეუსაბამო მინიმალური დატვირთვის დონეები, რაც მისი დადგენის საფუძვლების ფარგლებში (განსხვავებული დატვირთვის დონეები) ფუნქციური სახელფასო დანამატის შინაარსის მატარებელია, მაგრამ მინიმალური დატვირთვის ეს დონეები არ სცილდება შრომის კანონმდებლობით დადგენილ

²⁰ 2011 წლის 28 დეკემბერი N124

ძირითადი სამუშაო დროის ზედა ზღვარს(კვირაში 40 სთ-ი). შესაბამისად,მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს აკადემიური პერსონალის მიხედვით სახელფასო დანამატის გაცემის მატერიალური სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, აუდიტის პერიოდში აკადემიური პერსონალის სახელფასო დანამატების გაცემისას არსებობდა არაერთგვაროვანი მიდგომა.

2013 წლის 6 სექტემბერს საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ და სსიპ-ის წესდებაში (მე-13 მუხლი) შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც რექტორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა პროფესორის სარგოს მაქსიმალური ოდენობის არანაკლებ 1.15 და არაუმეტეს 1.35 კოეფიციენტზე ნამრავლით (ანალოგიურად (შესაბამისი კოეფიციენტებით) სხვა ადმინისტრაციული თანამდებობის პირების). აღნიშნული პერიოდისთვის პროფესორის მაქსიმალური თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 1000 ლარს და შესაბამისად რექტორის ხელფასი გამოდიოდა მაქსიმუმ 1350 ლარი, სასწავლებლის აკადემიური საბჭოს დადგენილებით²¹ მანამდე აკადემიურ პერსონალზე განსაზღვრული დანამატი შეერწყა თანამდებობრივ სარგოს და პროფესორის მაქსიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 3400 ლარით. აღნიშნული დადგენილებით აკადემიური პერსონალი დაიყო კატეგორიებად („ა“ კატეგორიის პროფესორებს არ შეეძლოთ სასწავლებლის გარეთ განეხორციელებინათ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა) შესაბამისად, თანამდებობრივი სარგოები ფაკულტეტების და ხარისხის მიხედვით განისაზღვრა სხვადასხვა ოდენობით (მედიცინის ფაკულტეტი 690-1290, ეკონომიკისა და ბიზნესის, ასევე იურიდიული ფაკულტეტები 860-3400 ლარი). ამის მიუხედავად ყველა ფაკულტეტს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გარდა მაინც შეუნარჩუნდა დანამატი 100-150 ლარის ოდენობით.

ფაკულტეტის დეკანებს 2013 წლის ოქტომბრამდე ერიცხებოდათ ერთნაირი ოდენობის თანამდებობრივი სარგო (2400ლარი) სასწავლებლის სსიპ-ად გარდაქმნის გამო როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალი თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრისთვის ამოქმედდა კოეფიციენტების სისტემა და აკადემიური თანამდებობის პირთა დანამატები შეერწყა თანამდებობრივ სარგოებს. შედეგად დეკანების ანაზღაურება შეიცვალა, ზოგს გაეზარდა და ზოგს კი შეუმცირდა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების²² საფუძველზე, იმ არგუმენტით, რომ მათი თანამდებობრივი სარგო კვლავ გამხდარიყო თანაბარი, 2013 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაენიშნათ სხვასდასხვა ოდენობის (1400-2375 ლარი) დანამატები თანამდებობრივ სარგოზე, რის შედეგადაც მათი თვიური სარგო განისაზღვრა 3740 ლარით.

²¹ 2013 წლის 4 ოქტომბერი N112/2013

²² 2013 წლის 25 ოქტომბერი N954/02-03

შეთავსება

ადმინისტრაციის თანამშრომლების ნაწილს (2012 წელს-155, 2013 წელს-178), შეთავსებული ჰქონდათ აკადემიური თანამდებობა, ანდა იყვნენ მოწვეული პედაგოგები, ატარებდნენ სალექციო საათებს და იღებდნენ დამატებით ანაზღაურებას სახელფასო სარგოსა და დანამატის სახით, რამაც საერთო ჯამში 2 637 657 ლარი შეადგინა. აღნიშნული გარემოება გადაფარულ საათებზე გაორმაგებული სარგებლის მიღების რისკის შემცველია.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტს:

- შემუშავდეს ფუნქციური სახელფასო დანამატის გაცემის წესი, რითაც განისაზღვრება ზეგანაკვეთური სამუშაოს აღრიცხვის და ანაზღაურების პროცედურა; განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის/სამსახურებრივი ფუნქციების მოსალოდნელზე უკეთ შესრულების ინდიკატორები და შეფასების სისტემა;
- პრემიების დარიცხვა მოხდეს არგუმენტირებული მატერიალური საფუძვლების გათვალისწინებით;
- აკადემიური პერსონალის მიერ საკონსულტაციო საათების აღრიცხვის და მისი რეალობის დადგენის მიზნით შემუშავდეს საიმედო და ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი;
- შემუშავებული იქნას კრიტერიუმების სისტემა, რომლის მიხედვითაც შეფასდება აკადემიურ პერსონალის მიერ გაწეული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

3.2. შესყიდვები

აუდიტის პერიოდში უნივერსიტეტს სულ გაფორმებული აქვს 1829 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, საერთო თანხით 12 328 174 ლარი, მათ შორის: ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმებული აქვს 105 ერთეული- 4 375 933 ლარზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერით- 434 შემთხვევაში 4 153 232 ლარზე, კონსოლიდირებული ტენდერით-33 შემთხვევაში 641 420 ლარზე და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 1257 შემთხვევაში 3 157 589 ლარზე.

3.2.1 დაგეგმვა

3.2.1.1 კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. მომდევნო წლის შესყიდვების წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი წარუდგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს

მომდევნო წლისათვის/ წლებისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება²³. შესყიდვის წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს შემსყიდველმა უნდა გაითვალისწინოს გარემოებები²⁴, რომელიც უზრუნველყოფს ოპტიმალური, სტაბილური და ხარჯდამოზოგი გეგმის ფორმირებას.

გამოვლენილი გარემოება:

- შესყიდვების გეგმების წარდგენამდე შესყიდვის პროცედურები განხორციელებული და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული 8 შემთხვევაში თანხით 39 636 ლარი.
- ხშირია გეგმებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევები. თვეში საშუალოდ განხორციელებულია მინიმუმ 4 ცვლილება და ისინი რიგ შემთხვევებში დაგვიანებით წარედგინებოდა სააგენტოს.
- ხშირ შემთხვევებში, ცვლილებების შედეგად CPV კოდებზე შესყიდვის ობიექტის ჯამური სავარაუდო ღირებულებები თავდაპირველ მაჩვენებელთან შედარებით წლის ბოლომდე თითქმის ორჯერაა გაზრდილი, მაშინ როცა ათვისების (დაკონტრაქტების) მაჩვენებელი დაბალია.

ინფორმაცია შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული თანხების ათვისების შესახებ (2012-2013 წწ)

	დაფინანსების წყარო					
	ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება		სამეცნიერო გრანტი	
	2012წ	2013წ	2012წ	2013წ	2012წ	2013წ
შესყიდვების გეგმა	7854112	6497135	316378	238210	1738404	2058374
ათვისებულია	5368562	4723843	220792	187608	890349	937021
ათვისების %	68%	73%	70%	79%	51%	46%

²³ კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მე-9 მუხლი, მე-4 პუნქტი.

²⁴ კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მე-9 მუხლი, მე-6 პუნქტი (შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნება, მსგავსი შესყიდვის განხორციელების გამოცდილება, შესყიდვის ობიექტის განსაზღვრა (საქონელი სამუშაო, მომსახურება) მათი ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები, მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა არსებული მარაგების გათვალისწინებით, შეყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულება)

- გეგმებში წლის ბოლომდეა შენარჩუნებული CPV კოდები (კატეგორიები) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებით, რომლის მიხედვით შესყიდვა საერთოდ არ განხორციელდება.
- ფიქსირდება შემთხვევები, როცა უნივერსიტეტის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს გეგმის თანხები ვერ უზრუნველყოფდა. რიგ შემთხვევებში პოსტფაქტუმ ხდებოდა გეგმაში თანხების მატება. აგრეთვე ხდებოდა გეგმიდან უკვე ათვისებული თანხების ამოღება.
- 13 შემთხვევაში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესყიდვის იმ CPV კოდებზე, რომლებიც გეგმით არ არის გათვალისწინებული, თანხით 12 088 ლარი.

3.2.2 ტენდერები

ინფორმაცია ტენდერების შესახებ

N	ტენდერის სტატუსი	2012 წელი		2013 წელი	
1	ტენდერი გამოცხადებულია	451		485	
2	ტენდერი არ შედგა	184	41%	156	32%
3	ტენდერი შეწყვეტილია	20	4%	8	2%
4	დასრულებულია უარყოფითი შედეგით	5	1%	16	3%
5	ხელშეკრულება დადებულია	242	54%	305	63%

3.2.2.1 კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება²⁵. მოცემული იმპერატიული ნორმიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, პრედენტენტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები (როგორც საკვალიფიკაციო, ისე ტექნიკური) და მიწოდების პირობები არ უნდა ზღუდავდეს კონკურენციას და უნდა უზრუნველყოფდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას.

²⁵ კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მე-2 მუხლი, „ზ“ ქვეპუნქტი.

გამოვლენილი გარემოება:

დაუსაბუთებელი და შეუსაბამო ტექნიკური მოთხოვნები, რომლითაც შეიზღუდა ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთა რაოდენობა და მოხდა სატენდერო წინადადების დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია.

2012 წლის 21 ნოემბერს გამოცხადებულ ლიფტების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ტენდერში (SPA120026449) **ტექნიკური მოთხოვნა იყო „პრეტენდენტს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონოდა არანაკლებ 300 000 ლარის მოცულობის ანალოგიური სამუშაოები“**. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს „ხომერიკმა და კომპანია“-მ და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება 79 999 ლარზე. კონკურენციის უზრუნველყოფის და საჯარო სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით, მოცემული ტექნიკური მოთხოვნის შეზღუდულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2013 წლის 25 ნოემბერს, იგივე მოცულობის ანალოგიურ მომსახურებაზე ლიფტების ტექნიკური მომსახურების/ექსპლუატაციის ნაწილში, გამოცხადებულ ტენდერში (SPA130025625) სადაც **ტექნიკურ მოთხოვნად განისაზღვრა „ პრეტენდენტს (არსებობის მანძილზე) შესრულებული უნდა ჰქონდეს** ანალოგიური სამუშაოები მოცულობით არანაკლებ 300 000 ლარისა“, მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ შპს „ხომერიკი და კომპანია“-მ და შპს „საქლიფტმა“. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „საქლიფტი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 66 544 ლარი, დღგ-ს გარეშე. გამარჯვებული სატენდერო წინადადებების მიხედვით პირველ შემთხვევაში ერთეულ ლიფტზე გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 240 ლარი, მეორე შემთხვევაში 150 ლარი.

უნივერსიტეტს დიპლომების შესყიდვაზე 2011 წლიდან გამოცხადებული აქვს ტენდერები და გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მხოლოდ შპს „კაბადონ +“-თან, 4-დან 3 შემთხვევაში შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით. 2011 წლის 17 ნოემბერს (SPA110029426) გამოცხადებული ტენდერით პრეტენდენტს მოეთხოვებოდა 3 წლიანი გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში, ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო ტენდერიდან დისკვალიფიცირებულ იქნა შპს „ქეჩერა“. 2012 წლის 5 დეკემბერს (SPA120027244) გამოცხადებულ ტენდერში 3 წლიანი გამოცდილება უკვე დააკმაყოფილა შპს „ქეჩერამ“ და შპს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატ“-მა, თუმცა მათი დისკვალიფიკაცია მოხდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს დასკვნის საფუძველზე, ნიმუშების დაწუნების გამო. 2013 წლის 27 ივნისს (SPA130014076) გამოცხადებული ტენდერით უნივერსიტეტმა მოითხოვა უკვე 5 წლიანი გამოცდილება. ამ დროისათვის მისთვის ცნობილი იყო, რომ შპს „ქეჩერა“, შპს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ ვერ აკმაყოფილებდნენ აღნიშნულ მოთხოვნას და ისინი დისკვალიფიცირებულ იქნენ ტენდერიდან ამ მიზეზის გამო, ხოლო შპს „კაბადონი“ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს დასკვნის საფუძველზე, ნიმუშის დაწუნების გამო. აღნიშნული ტენდერი დასრულდა უარყოფითი

შედეგით. 2013 წლის 15 აგვისტოს (SPA130017855) უნივერსიტეტმა კვლავ გამოაცხადა ტენდერი იგივე პირობებით ანუ 5 წლიანი გამოცდილების მოთხოვნით და ამ შემთხვევაშიც მისთვის ცნობილი იყო რომ შპს „ქეჩერა“ და შპს „ბექდვითი სიტყვის კომბინატი“ ვერ აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნას. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა შპს „კაბადონ“-მა, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 24 850 ლარი.

სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნა „ანალოგიური“ საქონლის მიწოდების სფეროში გამოცდილების შესახებ გულისხმობდა მხოლოდ „მკაცრი აღრიცხვის ფორმების წარმოებას“. კომპანიას, რომელსაც მიღებული აქვს ნებართვა აწარმოოს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ბექდავს აღნიშნული ნებართვით გათვალისწინებულ ფორმებს და ამასთანავე ახორციელებს სხვა სახის ბექდვით მომსახურებას დაუსაბუთებელია მისი დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ იგი მისი გამოცდილების პერიოდში უწყვეტად არ აწარმოებდა მხოლოდ „მკაცრი აღრიცხვის ფორმებს“. ამ შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის ეს მოთხოვნაც ზღუდავს პრეტენდენტებს. რაც შეეხება მოთხოვნას 3-5 წლიანი გამოცდილების შესახებ, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონით დეტალურადაა განსაზღვრული თუ რა პირობები უნდა დააკმაყოფილოს პოლიგრაფიულმა საწარმომ ნებართვის მისაღებად (საწარმოო სიმძლავრეები და პერსონალის კვალიფიკაცია) და როცა ამ პირობებს აკმაყოფილებს მისთვის ასეთი მრავალწლიანი გამოცდილების მოთხოვნა უსაფუძვლოა, მითუმეტეს, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი ექსპერტიზის ობიექტია.

არასწორი CPV -კოდით გამოცხადებული ტენდერები

უნივერსიტეტს სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვაზე ტენდერები გამოცხადებული აქვს არასწორი შესყიდვის CPV 79998000 კოდით „ტურისტული ავტობუსების მომსახურება“, მოცემული მომსახურების შესაბამისი კოდია 60170000 „სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად“. განსახორციელებელ შესყიდვას CPV კოდი ენიჭება შესყიდვის კატეგორიიდან გამომდინარე და მაშინ, როცა ნათლად იყო განსაზღვრული შესყიდვის კატეგორია 60100000 „საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები“ სხვა კატეგორია 79900000 „სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“ არ უნდა ყოფილიყო შემსყიდველის მიერ გამოყენებული. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალზე არსებული ინფორმაციით 60100000 (საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები) CPV კოდით განსაზღვრული მომსახურება საკმაოდ მაღალკონკურენტუნარიანია საქართველოში. ვინაიდან ტენდერები გამოცხადებული იყო არასწორი კოდით, მოცემულ ბიზნესში მოღვაწე კომპანიებს და ინდ. მეწარმეებს არ მიეცათ ტენდერში მონაწილეობის საშუალება. ტენდერებში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კომპანია შპს „ტრანსლიდერი“ და მასთან ფორმდებოდა ხელშეკრულებები. სამ შემთხვევაში შპს „ტრანსლიდერ“-თან გაფორმდა ხელშეკრულებები სავარაუდო

ღირებულებებით (1500;2050;18850 ლარი), ხოლო ერთ შემთხვევაში (SPA120011270) მან უარი განაცხადა სატენდერო წინადადებაზე, მის მიერ არასწორად შედგენილი ხარჯთაღრიცხვის გამო. იგივე პირობებით გამოცხადებულ (SPA120011796) ტენდერში კი შპს „ლაშა 2007“-თან გაფორმდა ხელშეკრულება ტენდერის სავარაუდო ღირებულებით 47 500 ლარად. შპს „ლაშა 2007“-ის დირექტორი ლაშა ცოფურიშვილი, ამავდროულად წარმოადგენს შპს „ტრანსლიდერის“ დირექტორს და დამფუძნებელს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს იგივე მომსახურებაზე გამარტივებული წესით გაფორმებული აქვს 21 ხელშეკრულება შპს „ტრანსლიდერ“-თან და შპს „ლაშა 2007“-თან შესყიდვის სწორი 60100000 CPV კოდით.

სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულია დაუსაბუთებელი შეზღუდული მიწოდების ვადები

2013 წლის 6 დეკემბერს უნივერსიტეტმა გამოაცხადა ტენდერი (SPA130026895) „ნობელის ენციკლოპედიის, - 60 ტომეულის შესყიდვაზე (რუსულ ენაზე, მოიცავს ნობელის პრემიის ლაურეატების სამეცნიერო ნაშრომებს) სავარაუდო ღირებულებით 14 040 ლარი. აღნიშნული საქონლის შესყიდვის საფუძველია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დირექტორის წერილი თსუ-ს რექტორის სახელზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით საქონლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 2013 წლის 25 დეკემბრამდე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა შპს „ელვა ჯი“-მ, რომელთანაც 2013 წლის 19 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება 13 800 ლარზე. ტენდერი გამოცხადდა 2013 წლის 6 დეკემბერს, წინადადების მიღება მთავრდებოდა 2013 წლის 12 დეკემბერს და სატენდერო პროცედურებს ჭირდებოდა გარკვეული დრო, ვიდრე პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდებოდა, თითქმის აღარ რჩებოდა დრო პრეტენდენტს საქონლის დადგენილ ვადაში მიწოდებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ელვა ჯი“-მ მოახერხა აღნიშნული საქონლის მიწოდება 6 დღიან პერიოდში, რაც შემსყიდველისათვის წინასწარ იყო ცნობილი ბაზრის კვლევის ეტაპზე, რეალურად მოხდა სხვა პრეტენდენტების შეზღუდვა მიწოდების შეზღუდული ვადის გამო. აღსანიშნავია, რომ არანაირი აუცილებლობა, იმისა რომ მიწოდება მომხდარიყო შეზღუდულ ვადაში, არ იდგა.

არაერთგვაროვანი მიდგომა სატენდერო დოკუმენტაციაში პრეტენდენტების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრისას.

სატენდერო დოკუმენტაციის სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნები მკვეთრად იცვლება მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვის განხორციელების შემთხვევებში. იმ დროს, როდესაც შესასყიდი მომსახურების სავარაუდო ღირებულება, თარგმნის სირთულე, სათარგმნი მასალის ტექნიკური და ლექსიკური შემადგენელობა მსგავსი პარამეტრებით ხასიათდება, ერთ შემთხვევაში პრეტენდენტისაგან მოითხოვება ამ სფეროში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, ხოლო სხვა შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა საერთოდ უგულებელყოფილია. ანალოგიური მიდგომარეობაა პრეტენდენტთა პროფესიული კვალიფიკაციისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნის მიმართ: რიგ შემთხვევაში

სავალდებულო მოთხოვნაა უმაღლესი (მაგისტრის ხარისხი) ინგლისურენოვანი განათლება, ხოლო რიგ შემთხვევებში უბრალოდ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი რაიმე სერტიფიკატი. ხშირია შემთხვევა, როდესაც პრეტენდენტს მოეთხოვება წარმოადგინოს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა არაა განსაზღვრული მინიმალური კვალიფიკაციას დონე. ზოგადი პრაქტიკიდან გამომდინარე დადასტურებულია, რომ სინქრონული თარგმანი გაცილებით რთულია, მითუმეტეს, თუ იგი ეხება სამეცნიერო ტერმინოლოგიის სინქრონს, ვიდრე ლიტერატურის თარგმნა, თუმცა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული სავალდებულო მოთხოვნები ლიტერატურის თარგმანის შემთხვევაში გაცილებით მკაცრია ვიდრე სამეცნიერო ტექსტის თარგმნის მომსახურებაზე, უფრო მეტიც, მოცემული მომსახურების შესყიდვის დროს უმეტეს შემთხვევებში თითქმის არანაირი კვალიფიკაცია და გამოცდილება არ მოეთხოვება პრეტენდენტს.

2013 წლის 22 ნოემბერს უნივერსიტეტს გამოცხადებული აქვს ტენდერი SPA130025421 „სათარჯიმნო მომსახურების, კერძოდ ფილოსოფიის თემატიკაზე კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების თარგმნა ქართულიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით,“ შესყიდვაზე სავარაუდო ღირებულებით 2000 ლარი ორი დღით. სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა ერთადერთი ტექნიკური მოთხოვნა „კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა“. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა ფ/პ „ირინა კიკაბიძე“. მას წარმოდგენილი აქვს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგის დამადასტურებელი სერტიფიკატი „ისწავლე დღეს დასაქმდი ხვალ“ და აგრეთვე ალ.წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული უცხო ენების ორწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც გაცემულია 1984 წელს. ამასთან, ფ/პ „ირინა კიკაბიძე“-სთვის რომ ეს ერთადერთი ტენდერია, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო და შესყიდვების სააგენტოს პორტალზე დარეგისტრირდა 2013 წლის 26 ნოემბერს, წინადადებების მიღების დაწყების დღეს.

2013 წლის 30 ოქტომბერს უნივერსიტეტს გამოცხადებული აქვს ტენდერი SPA130023677 სათარჯიმნო მომსახურების შესყიდვაზე სავარაუდო ღირებულებით 950 ლარი ერთი დღით. სატენდერო დოკუმენტაციით სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნად განისაზღვრა ორწლიანი გამოცდილება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ მას გამოცდილების შესახებ არანაირი დოკუმენტი არ აუტვირთავს ელექტრონულ სისტემაში და კვალიფიკაციის შესახებ წარადგინა მხოლოდ 1988 წელს (25 წლის წინ აღებული) გაცემული ორწლიანი სინქრონული თარგმნის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე გაუფორმდა ხელშეკრულება ფ/პ ივანე მენთეშაშვილს. აღსანიშნავია, რომ ეს მისი ერთადერთი ტენდერია და შესყიდვების სააგენტოს პორტალზე დარეგისტრირებულია წინადადებების მიღების დაწყებიდან მეორე დღეს, 2013 წლის 2 ნოემბერს.

2013 წლის 11 ნოემბერს უნივერსიტეტს გამოცხადებული აქვს ტენდერი SPA130024441 სათარჯიმნო მომსახურების შესყიდვაზე (ერთი დღე) სავარაუდო ღირებულებით 600 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით პრეტენდენტის პროფესიული კვალიფიკაციის და გამოცდილების მიმართ ტექნიკური მოთხოვნა არ განსაზღვრულა. ტენდერში მონაწილე ერთადერთ პრეტენდენტ ფ/პ „ზვიად მირგატას“, რომელსაც გაუფორმდა ხელშეკრულება ატვირთული აქვს მხოლოდ მცირე ბიზნესის სერთიფიკატი. აღსანიშნავია, რომ ეს მისი ერთადერთი ტენდერია და შესყიდვების სააგენტოს პორტალზე დარეგისტრირებულია წინადადებების მიღების დაწყების დღეს, 2013 წლის 13 ნოემბერს.

ტენდერისაგან თავის არიდების მიზნით არასწორი CPV კოდის მიხედვით გამარტივებული წესით გაფორმებული ხელშეკრულებები.

რიგ შემთხვევებში არასწორი CPV კოდებზე, გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულებები 8 შემთხვევაში 14 040 ლარზე. სწორი CPV კოდის შემთხვევაში მოცემული შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელ.ტენდერის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფდა კონკურენციის მაღალ ხარისხს.

სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნების კონკრეტულ მიმწოდებელზე მორგება.

2013 წლის 25 ივლისს უნივერსიტეტს გამოცხადებული აქვს ტენდერი SPA130016276 მთარგმნელობითი მომსახურების (უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისათვის სახელმძღვანელოს თარგმნის მომსახურება ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ტექსტის დამუშავება) შესყიდვაზე სავარაუდო ღირებულებით 20720 ლარი. იმ მიზნით, რომ ნათარგმნი მასალა ხარისხიანი და ადეკვატური ყოფილიყო, მოხდა სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილება. ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალის ნაცვლად, პრეტენდენტს მოეთხოვებოდა *ლექცია-სემინარების ჩატარების გამოცდილება ეკონომიკურ და ბიზნესის სტატისტიკაში, სტატისტიკის დარგში საერთაშორისო ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობის გამოცდილება (დადასტურებული სერთიფიკატებით), მოეთხოვებოდა სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების გამოცდილება*. მიუხედავად იმისა, რომ შესასრულებელი სამუშაო მოითხოვდა პრეტენდენტის მხრიდან მაღალ პროფესიონალიზმს, რაც უზრუნველყოფდა სპეციფიკური სასწავლო ლიტერატურის თარგმნის სასურველ ხარისხს, რისკი იმისა რომ აღნიშნული მოთხოვნებით მოხდა სატენდერო დოკუმენტაციის მორგება კონკრეტულ პიროვნებაზე მაღალია. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა ფ/პ ლია ძევისაურმა 20720 ლარად, რომელმაც სრულად დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნები და გაუფორმდა ხელშეკრულება. ეს მისი ერთადერთი ტენდერია. აღსანიშნავია, რომ იგი შესყიდვების სააგენტოს პორტალზე დარეგისტრირდა 2013 წლის 9 აგვისტოს წინადადებების მიღების დაწყებიდან მეორე დღეს. ლია ძევისაური

უნივერსიტეტში საათობრივად მიწვეული პედაგოგია და ჩატარებული აქვს ლექციები ეკონომიკური სტატისტიკის მიმართულებით 2013 წლის მეოთხე კვარტალში.

3.2.2.3 კრიტერიუმი: კანონმდებლობით²⁶ განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც მიმწოდებელი ან/და პრეტენდენტი ექვემდებარება სატენდერო კომისიის მიერ დისკვალიფიკაციას. ამასთან სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემებს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. ამ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით.

გამოვლენილი გარემოება:

უნივერსიტეტის მიერ 2012 წლის 27 ნოემბერს გამოაცხადებულ ტენდერში (SPA120026728), რომელიც კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთების შესყიდვაზე გამოცხადდა სავარაუდო ღირებულებით 40 000 ლარი, უმცირესი ფასის წარმომდგენი ი.მ ივანე ბაბუაძე „ვაკო“ დისკვალიფიცირებულ იქნა ტენდერიდან ვინაიდან ფასების ცხრილით განსაზღვრულ ერთ-ერთ პოზიციაზე, მაგნიტური ბლოკის შეცვლა, რაოდენობრივად 5-ის ნაცვლად მითითებული ჰქონდა 6. აღნიშნული უზუსტობა სატენდერო კომისიამ მიიჩნია მნიშვნელოვან უზუსტობად და ყოველგვარი დაზუსტების გარეშე მოახდინეს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ა-პრო“-სთან 32 295 ლარზე 5295 ლარით მეტზე, ვიდრე ი.მ ივანე ბაბუაძე „ვაკო“-ს ჰქონდა შეთავაზებული.

3.2.2.3 კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა.

ფაქტობრივი გარემოება: 2013 წლის 12 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში (SPA130020082) „პერსონალური კომპიუტერების შესყიდვაზე“ მონაწილე 5 პრეტენდენტთან უმცირესი ფასი წარმოადგინა შპს „ალგორითმა“. ტენდერი შეწყდა იმ მიზეზით, რომ მოთხოვნილი კომპიუტერის პარამეტრები ვერ აკმაყოფილებდა უნივერსიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოთხოვნებს, კერძოდ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ბაზის მომსახურებას, თუმცა აღნიშნულ სისტემაზე უნივერსიტეტი დღემდე არ გადასულა. ხელმოწერა გამოცხადებულ 2013 წლის 23 ოქტომბრის ტენდერში (SPA130023175) სავალდებულო პირობად განისაზღვრა შემდეგი: *შემოთავაზებული პროცესორი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი უნდა იყოს ერთი და იმავე ბრენდის,*

²⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9, მუხლი 12, პუნქტი 5

ქარხნულად აწყობილი, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული აღნიშნული მოთხოვნა დაუსაბუთებელია. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 2 პრეტენდენტმა შპს „ალგორითმ“-მა უმცირესი ფასით 151 600 ლარი და შპს „პისი ქორნერ“-მა 192 000 ლარი, იმ მიზეზით რომ შპს „ალგორითმ“-ის მიერ შემოთავაზებული პროცესორი, კლავიატურა და მაუსი ლენოვოს ფირმის იყო, ხოლო მონიტორი weihai Daewoo_მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია.

რისკის შემცველია უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვები, სადაც მიმწოდებლად ინდ/მ ირაკლი ზარიძე ფიქსირდება, შემდეგი გარემოებების გამო:

- ინდ. მეწარმე ირაკლი ზარიძეს სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან არსებობის მანძილზე მონაწილეობა აქვს მიღებული 10 ტენდერში და ათივე ტენდერში შემსყიდველი ორგანიზაცია უნივერსიტეტია;
- 7 შემთხვევაში ის ერთადერთი პრეტენდენტია და მასთან გაფორმდა ხელშეკრულებები;
- 2 ტენდერი, შეწყვეტილია სატენდერო დოკუმენტაციის არასრულყოფილების მიზეზით, სადაც ინდ/მ ირაკლი ზარიძე მარცხდებოდა მაღალი ფასის გამო, თუმცა სატენდერო პროცედურები არ დარღვეულა;
- ერთ ტენდერში შპს „მაი მობაილი“ დისკვალიფიცირებულად სცნო სატენდერო კომისიამ;
- ხელშეკრულებების ღირებულება უმრავლეს შემთხვევაში სატენდერო წინადადების სავარაუდო ღირებულებას უტოლდება და მცირედით განსხვავდება მისგან;
- აღნიშნული შესყიდვების მომთხოვნი პირი 2012/2013 წლებში გრანტის ხელმძღვანელი პაატა ნიკოლეიშვილია.
- მეწარმე რეესტრში დარეგისტრირებულია 2011 წლის 26 ივლისს, ხოლო შესყიდვების სააგენტოს პორტალზე 2012 წლის 18 აპრილს, SPA120012295 ტენდერის გამოცხადებამდე 12 დღით ადრე.

აღნიშნულ სუბიექტთან გაფორმებული სახელშეკრულებო თანხების ჯამური ოდენობა 49 046 ლარს შეადგენს.

3.3 წარმომადგენლობითი ხარჯები

2012 წელს თსუ-ს მიერ გაწეულმა წარმომადგენლობითმა საკასო ხარჯმა შეადგინა 907 824 ლარი, ხოლო 2013 წელს- 621 437 ლარი.

2012-2013 წლის წარმომადგენლობითი ხარჯები

დაფინანსების წყარო	2012 წელი	2013 წელი
ეკონომიკური საქმიანობა	643 909	432 114

საბიუჯეტო სახსრები	167 005	13 872
საერთაშორისო გრანტი	54 393	62 630
რუსთაველის ფონდის გრანტი	42 517	112 821
სულ:	907 824	621 437


2012 წელს წარმომადგენლობითი მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული იქნა 927 082 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, ხოლო 2013 წელს 705 703 ლარის, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

შესყიდვა	2012	2013
სასტუმროს მომსახურება	401 272	255 014
სასაჩუქრე სუვენირები	74 470	110 150
სარესტორნო და საბანკეტო მომსახურება	307 412	285 626
კულტურული ღონისძიებები და სხვ.	143 929	54 913
სულ	927 082	705 703

მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ 2012 წელთან შედარებით 2013 წელს, თსუ-ს მიერ გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებზე შეინიშნება კლების ტენდენცია, თუმცა აღსანიშნავია, რომ გაზრდილია სასაჩუქრე სუვენირების შესყიდვის სახელშეკრულებო თანხის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მაჩვენებელი.

ცხრილში წარმოდგენილია 2012-2013 წლებში უნივერსიტეტის მიერ წარმომადგენლობით მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება, ფაქტიური და საკასო ხარჯები.²⁷

²⁷ 2012 წელს გაწეულია მოწვეული პროფესორების მგზავრობის საკასო ხარჯი 101 000 ლარის ოდენობით.



გამოვლენილი გარემოებები:

სასტუმროს მომსახურება

სასტუმროს მომსახურების ხარჯების შესწავლისას, ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა განხორციელებული შესყიდვის შესაბამისობას გადახდილ თანხასთან, კერძოდ სარგებლობდა თუ არა შესყიდული მომსახურებით იმ რაოდენობის ადამიანი, რაც დაფიქსირებულია მოთხოვნასა და მიღება-ჩაბარების აქტებში. კერძოდ, პასუხისმგებელი დეპარტამენტები უმეტეს შემთხვევაში არ ფლობენ იმ მოწვეული სტუმრების სრულ სიას, რომელთათვისაც განხორციელდა მომსახურების შესყიდვა.

სესია-კონფერენცია „სტუდენტური ცხოვრების განვითარება საქართველოში“

უნივერსიტეტის თვითმართვებლობის წერილის²⁸ მიხედვით დაიგეგმა ზამთრის სესია-კონფერენცია დაბა გუდაურში. კონფერენციის თემა იყო „სტუდენტური ცხოვრების განვითარება საქართველოში“. ღონისძიებაში მონაწილეობა უნდა მიეღო 60 პერსონას, როგორც ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ჩამოსულ სტუმრებს, ასევე სასწავლებელში მყოფ უცხოელ და განსაკუთრებით მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს.

²⁸ 2012 წლის 17 თებერვალი N106-05

აღნიშნული კონფერენციის ხარჯმა სულ 24 607 ლარი შეადგინა, მათ შორის: სასტუმროს მომსახურება 22 170 ლარი, ავტოსატრანსპორტო- 1 125 ლარი, ამასთან სტუდენტებზე გაცემულმა დღიურმა ხარჯმა 1 315.5 ლარი.

სასტუმროს მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა შპს „რიზორტ გრუპთან“. წარმოდგენილ ანგარიშფაქტურაში მითითებულია, რომ სასტუმრო მომსახურება გაწეულია 2012 წლის 20-22 თებერვლის და 2012 წლის 05-10 მარტის პერიოდზე. აუდიტის ჯგუფის მიერ 2012 წლის 5-10 მარტის პერიოდის ავტოსატრანსპორტო მომსახურების შეძენის, ან სხვა დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ იქნა მოძიებული.

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ვერ დადგინდა, რა ღონისძიებები იყო დაგეგმილი კონფერენციის ფარგლებში და ვის მიერ იქნა განსაზღვრული სტუდენტების რიცხოვნობა. თსუ-ს მხრიდან წარმოდგენილია მხოლოდ 35 ქართველი სტუდენტის ჩამონათვალი, რომელთა უმეტესობასაც არ გააჩნდათ მაღალი აკადემიური მოსწრება.

უნივერსიტეტის თვითმმართველობის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია, რის საფუძველზეც დადასტურდებოდა, კონფერენციის შედეგად ჩამოყალიბდა თუ არა სტუდენტური ცხოვრების განვითარების სამოქმედო გეგმა და მიღწეულ იქნა თუ არა დასახული მიზანი.

სტუდენტური თვითმმართველობის საერთაშორისო ფორუმი (ქ. ბათუმი)

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ქ. ბათუმში 2012 წლის 01-05 ივნისის ჩათვლით დაიგეგმა სტუდენტური თვითმმართველობის საქართველოს საერთაშორისო ფორუმის ჩატარება, აღნიშნულს საფუძველად დაედო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და სასწავლებლის წერილები²⁹. ფორუმში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმმართველობის 100 წარმომადგენელს 60 ქვეყნიდან და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების თვითმმართველობებიდან შერჩეული ქართველი სტუდენტები, სულ 150 სტუდენტი. ფორუმი მიზნად ისახავდა ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს შორის ახალგაზრდული ურთიერთობების განვითარებას, უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასა და მის პარტნიორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, ასევე ახალი პარტნიორების მოძიებას, სტუდენტური ორგანიზაციების მომავალი თანამშრომლობისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავებას, საქართველოს პოპულარიზაციას და მომავალი თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, 150 პერსონის სასტუმრო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 25 მაისს შპს „ინტურისტ პალასთან“ გაფორმდა 60 000\$-ის ღირებულების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც გაწეულია 97 890 ლარის ხარჯი.

²⁹ 2012 წლის 11 მაისი N 11/52 და 2012 წლის 16 მაისი N035-05

აუდიტის ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ვერ დადგინდა რა პრინციპებით განისაზღვრა სტუდენტთა კატეგორია და რიცხოვნობა. ასევე, ვერ იქნა დადასტურებული უცხოელი სტუმრების მოწვევისა და ფორუმში მონაწილეობის ფაქტი.

ტრენინგი-პროექტების მენეჯმენტი

უნივერსიტეტის თვითმმართველობის ორგანიზებით, სტუდენტური თვითმმართველობის ადმინისტრაციის წევრებისა და დელეგატების კვალიფიკაციის ამაღლების ფარგლებში, სასტუმროს მომსახურეობის შესყიდვის მიზნით, 2013 წლის 1 მარტს უნივერსიტეტსა და შ.პ.ს. „რიზორტ გრუპს“ შორის გაფორმდა 30 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობდა 50 პერსონა, რომელზედაც მიღებულია შესაბამისი სასაქონლო ზედნადები, ხოლო ობიექტის მიერ ვერ იქნა მოწოდებული ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა აღნიშნული ხარჯის რეალობას. კერძოდ, ვერ იქნა მოპოვებული მონაწილე პირების სახელობითი სიები, ასევე რამდენად საჭიროებდნენ მონაწილე პირები გადამზადებას აღნიშნული კუთხით.

ექსკურსიები და ლაშქრობები

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით 2012 წლის 2 აპრილის დაიგეგმა ექსკურსიები სხვადასხვა მიმართულებით (თბილისი/იყალთო ალავერდი, ყვარელი გრემი, სამთავისი უფლისციხე, ბოლნისი დმანისი) სულ (92*50) 4600 სტუდენტი და 13 ლაშქრობა (13*25) 325 სტუდენტი. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით შპს „ნიუ არტ“-თან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 43 998 ლარი. მათ შორის, ექსკურსიების მიხედვით 39 959 ლარი, ხოლო ლაშქრობებზე- 4 039 ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში, სულ ანაზღაურებულია 42 415 ლარი, აქედან 91 ექსკურსიაზე (4 550 სტუდენტი) 39864 ლარი, ხოლო 8 ლაშქრობაზე-(200 სტუდენტი) 2 551 ლარი.

ხელშ-ის შესაბამისად, ექსკურსიის ღირებულებამ ერთ სტუდენტზე საშუალოდ შეადგინა (39959/4600) 8.6868 ლარი, ხოლო ლაშქრობის ღირებულებამ კი (4 039/325) 12.42656 ლარი. მოცემული გათვლების და ექსკურსია/ლაშქრობის შესრულების გათვალისწინებით ფაქტური ხარჯი უნდა ყოფილიყო 41 573 ლარი, მათ შორის ექსკურსია (8.6868*4500) 39 087 ლარი, ხოლო ლაშქრობა (12.42656*200) 2 485 ლარი. თსუ-ს მოწოდებული მტკიცებულებების მიხედვით ფაქტიურმა შესრულებამ კი 42 415 ლარი შეადგინა, 842 (42 415-41 572) ლარით მეტი.

2013 წლის განმავლობაში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით განხორციელებული 3 ექსკურსიის ფარგლებში, მონაწილეობა უნდა მიეღო 1 050 სტუდენტს. მონაწილე სტუდენტების კვებითი უზრუნველყოფის მიზნით შპს „ბაო-2007“-თან გაფორმდა ხელშეკრულება თანხით 7 299 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 6 982 ლარი შეადგინა.

უნივერსიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ექსკურსია/ლაშქრობებზე მონაწილე რეგისტრირებულ სტუდენტთა დამადასტურებელი მტკიცებულება. აუდიტის მიმდინარეობისას მოპოვებული მტკიცებულებებით შეუძლებელია ექსკურსიებსა და ლაშქრობებში მონაწილე პირების იდენტიფიცირება.

საქმიანი სადილები და საბანკეტო მომსახურება:

სამეცნიერო - აკადემიური თანამშრომლობის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტს ხშირად სტუმრობს დელეგაციები სხვადასხვა ქვეყნებიდან. დელეგაციის წევრების რანგისა და მათი ვიზიტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქმიანი შეხვედრების გარდა, რიგ შემთხვევებში უცხოელი სტუმრებისათვის იგეგმება კულტურული პროგრამა (ქალაქის ტური, სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერება) და სასწავლებლის თანამშრომლებისა და დელეგაციის წევრების მოანაწილეობით საქმიანი სადილები. როდესაც იმართება საერთაშორისო ღონისძიება (კონფერენცია, სიმპოზიუმი და ა.შ.), უცხოელი სტუმრებისთვის საქმიანი სადილების ორგანიზებას შესაბამისი კომიტეტი უწევს, ხოლო როდესაც უნივერსიტეტს ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში სტუმრობს დელეგაცია, საქმიანი სადილის გამართვაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი. აღნიშნული მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 593 038 ლარი, მათ შორის 2012 წელს 307412 ლარი, ხოლო 2013 წელს 285 626 ლარი.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ვერ იქნა დადგენილი, რამდენ პერსონაზე შეკვეთილი მომსახურებები. არ არის გამოიჭნული მონაწილე პირთაგან, რამდენი პერსონა არის წარმოდგენილი სტუმრის სტატუსით და რამდენი როგორც სასწავლებლის წარმომადგენელი.

რესტორან „პურის სახლის“ ანგარიშით³⁰ მომსახურება გაეწია 7 პერსონას, მათგან 6 წარმომადგენდა უნივერსიტეტის თანამშრომელს. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ვერ მოხერხდა მათი იდენტიფიცირება.

უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი სარესტორნე მომსახურებაზე გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციით დგინდება, რომ რიგ შემთხვევებში თითოეულ პერსონაზე გაწეული ხარჯი საკმაოდ მაღალია. კერძოდ, 2012 წლის 26 იანვრის რესტორან „ბელდეჟურის“ 402 ლარის და 7 თებერვლის რესტორან „მანდარის“ 553 ლარის ანგარიშებით ხარჯმა 1 პერსონაზე 200 ლარზე მეტი შეადგინა.

საჩუქრები

აუდიტის პერიოდში სასაჩუქრე სუვენირების შესყიდვაზე ხელშეკრულებების საერთო თანხობრივმა მოცულობამ 184 620 ლარი შეადგინა. მათ შორის 2012 წელს 74 470 ლარი, ხოლო 2013 წელს- 110 150 ლარი.

³⁰ 2012 წლის 15 თებერვალი

2012-2013 წლებში სასაჩუქრე ფონდის ბრუნვის მონაცემები შემდეგია:

სასაჩუქრე ფონდი				
წელი	საწყისი ნაშთი	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი წლის ბოლოს
2012	217 948	95635	87 332	226 251
2013	226 251	151 629	166 840	211 040

აუდიტის ჯგუფმა შერჩევით შეისწავლა შეძენილი და მარაგების ანგარიშზე არსებული სასაჩუქრე ნივთები.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე, მარაგების ანგარიშზე, ნაშთის სახით ასახულია 12 დასახელების წიგნი, საერთო რაოდენობით 253 ცალი, 2 963 ლარის ღირებულების. 2013 წელს შესყიდულია იდენტური დასახელების 195 ცალი წიგნი, საერთო ღირებულებით 1 677 ლარი, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ნაშთის სახით დაფიქსირებულია ანალოგიური სახელწოდების მქონე 243 ცალი წიგნი, საერთო ღირებულებით 2 615 ლარი. შესაბამისად, ობიექტის მიერ გახარჯულია 205 ცალი სასაჩუქრე წიგნი და დაუსაბუთებელია 195 ცალი წიგნის შესყიდვის მიზნობრიობა.

2013 წელს, შ.პ.ს. „სეზანთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი იქნა 13 299 ლარის ღირებულების სასაჩუქრე წიგნები. აქედან, 2013 წლის მანძილზე 9 083 ლარის ღირებულების წიგნების გაცემა არ მომხდარა, რაც ხელშეკრულების საერთო ღირებულების 68%-ს შეადგენს. ასევე, ამავე წელს გაფორმებულია შ.პ.ს. „პრომოტესთან“ 10,000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება 2 000 ცალი ზურგჩანთის შესყიდვაზე. საწყობის მონაცემებით გაცემულია მხოლოდ 966 ერთეული, რაც მხოლოდ 48%-ს შეადგენს.

აუდიტის ობიექტი არ აწარმოებს გადაცემული სასაჩუქრე ნივთების რეესტრს, რითიც დადასტურდებოდა ნივთების დანიშნულებისამებრ გადაცემა. უნივერსიტეტის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია (სია პერსონალური მონაცემებით), რომელიც შესაძლებელს გახდიდა იმ პირების იდენტიფიცირებას, თუ ვის გადაეცა საჩუქრები.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტს:

- საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდეს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის საერთო წესი, სადაც აღწერილი იქნება მოცემული ხარჯის თითოეული ელემენტის მიხედვით პროცესები და კონტროლის მექანიზმები. გამოცდილების და სანიმუშო პრაქტიკის გათვალისწინებით დადგინდეს დომინირებადი ხარჯების გონივრული ამპლიტუდა, რომელიც რანჟირებული იქნება სტუმრის სტატუსის, ღონისძიების მნიშვნელობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;
- დაინერგოს კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების მიზნობრიობას და სახსრების რაციონალურ ხარჯვას;
- თითოეული წარმომადგენლობითი ღონისძიების მიხედვით შედგენილი იქნას დეტალური ე. წ. პროტოკოლი და მოხდეს ამ პროტოკოლის მიხედვით გაწეული ღონისძიებების მაინდენტიფიცირებელი დოკუმენტირება;

4.სასწავლო პროცესის მართვა და ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, უნივერსიტეტის წესდების, დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების დებულებების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო პროცესის წარმართვისას, ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, რის შესაბამისად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მინიჭება.

სასწავლებელში ფუნქციონირებს 6 ფაკულტეტი: სოციალურ-პოლიტიკური, იურიდიული, ჰუმანიტარული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ეკონომიკისა და ბიზნესის და მედიცინის. თითოეული ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს 3 საფეხურიან აკადემიურ განათლებას: ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და დოქტორანტურას, ხოლო ჰუმანიტარული და მედიცინის ფაკულტეტები დამატებით სთავაზობენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაკულტეტებისა, უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს 3 ინსტიტუტი:

- 1.ევროპისმცოდნეობის, სადაც მოქმედებს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამები;
- 2.ტურიზმის ინსტიტუტი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სამივე სახის აკადემიური და პროფესიული განათლების პროგრამებს;
- 3.საერთაშორისო ეკონომიკის სკოლა-მაგისტრატურის პროგრამით.


ამჟამად, უნივერსიტეტში მოქმედებს 210 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა. კერძოდ: საბაკალავრო-65, ერთსაფეხურიანი-3, სამაგისტრო-90, სადოქტორო-44, პროფესიული-5, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა-3, ხოლო აკრედიტაციის რეჟიმშია 7 საგანმანათლებლო პროგრამა.³¹

სასწავლო პროგრამების ღირებულება თითოეულ ფაკულტეტზე, ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, წელიწადში შეადგენს 2 250 ლარს, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არის დაწესებული, როგორც სწავლების საფასურის ზედა ზღვარი. უნივერსიტეტს არ აქვს განფასებული სასწავლო პროგრამები, რათა დადგინდეს თითოეული სტუდენტის სწავლების ხარჯი და შეფასდეს პროგრამის თვითღირებულება.

4.1. კრიტერიუმი. ავტორიზაციის გავლისას, ცენტრი უნივერსიტეტს უწესებს მისაღები სტუდენტების რაოდენობის ზედა ზღვარს, ხოლო ფაკულტეტების მიხედვით რაოდენობის განაწილებას ახორციელებს თვითონ უნივერსიტეტი. ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტით³², უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს შრომის ბაზრის კვლევა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი. აღნიშნული ანალიზის და კვლევის შედეგებს უნდა დაეფუძნოს ფაკულტეტების პრიორიტეტულობის და თითოეული ფაკულტეტის მიხედვით მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა.

გამოვლენილი გარემოება: ქვემოთ მოცემულია უკანასკნელი 3 სასწავლო წლის მანძილზე ჩარიცხული სტუდენტების სტატისტიკური მონაცემები ფაკულტეტების და აკადემიური საფეხურების მიხედვით.


სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი ბაკალავრიატში




³¹ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმების ფარგლებში გაწეული მუშაობის შესახებ, 2014 წელი

³² განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, სტანდარტი N1, პუნქტი-დ, გვ. 5

სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი მაგისტრატურაში: დიაგრამა N3



სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი დოქტორანტურაში: დიაგრამა N4



აღნიშნულიდან ჩანს, რომ ბაკალავრიატში ბოლო 3 წლის მანძილზე ყველაზე მოთხოვნადი ჰუმანიტარული ფაკულტეტი იყო, მას მოსდევს ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული, სოციალურ-პოლიტიკური, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, სამედიცინო ფაკულტეტი.

2014-2015 სასწავლო წელს კი ბაკალავრიატში მისაღები სტუდენტების რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი N1

ფაკულტეტის დასახელება	მისაღები სტუდენტების რაოდენობა
ეკონომიკა და ბიზნესი	940
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	760
სოციალურ-პოლიტიკური	690
იურიდიული	590
ჰუმანიტარული	565
სამედიცინო	200
სულ	3745

უფლებამოსილი პირის განმარტებით მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა ძირითადად დაფუძნებულია წინა წლების მონაცემებზე. ასევე გათვალისწინებულია ის ფაქტორიც, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია ფაკულტეტს. თუ, მისაღები სტუდენტების რაოდენობა წინა წლების სტატისტიკაზე დაყრდნობით განისაზღვრება, ამ შემთხვევაში, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ყველაზე მეტი სტუდენტი უნდა იყოს გათვალისწინებული. თუმცა, წინამდებარე ცხრილში მოცემული მონაცემებით, აღნიშნულ ფაკულტეტზე გაცილებით ნაკლები მისაღები კონტიგენტია გათვალისწინებული.

უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის დასადგენად აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი - ბაზარზე მოთხოვნა აბიტურიენტთა მხრიდან. ზემოთმოყვანილ დიაგრამებზე დაყრდნობით და უნივერსიტეტების სასწავლო პროფილის გათვალისწინებით, შეირჩა ყველაზე მოთხოვნადი ფაკულტეტები. შერჩეული პროგრამების წლიური ღირებულება თანაბარია და შეადგენს 2 250 ლარს. ასევე, ყველა მათგანი წარმოდგენს სახელმწიფო უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამას.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი 2014-2015 სასწავლო წელს უნივერსიტეტების მიხედვით მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და სტუდენტების მიერ გაკეთებული განაცხადების (მოთხოვნა) შესახებ. მათი თანაფარდობით გამოიკვეთა უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული ყველაზე მოთხოვნადი სასწავლო პროგრამები.

ცხრილი N2

იურიდიული			
უნივერსიტეტის დასახელება	მისაღები რაოდენობა	მოთხოვნა	ფარდობა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	590	8827	↓ 15
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	350	9903	↑ 28
ტექნიკური უნივერსიტეტი	180	3986	→ 22

ცხრილი N3

ბიზნესი და ეკონომიკა				
უნივერსიტეტის დასახელება	მისაღები რაოდენობა	მოთხოვნა	ფარდობა	
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	940	4835	↓	5
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	1500	14077	↓	9
ტექნიკური უნივერსიტეტი	235	8847	↑	38

ცხრილი N4

სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები				
უნივერსიტეტის დასახელება	მისაღები რაოდენობა	მოთხოვნა	ფარდობა	
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	690	14860	↓	21
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	15	1977	↑	132
ტექნიკური უნივერსიტეტი	320	10780	↓	34

ზემოთმოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის ბრენდის მაღალი ცნობადობისა, სასწავლებლის მიერ შეთავაზებული პროგრამები არც თუ ისე მოთხოვნადია მის ანალოგებთან შედარებით. რაც შეეხება კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელს, რომელიც ერთ-ერთი კომპონენტი იქნებოდა კონკურენტუნარიანობის შეფასებისას, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო დოკუმენტის მოპოვება, რადგან უნივერსიტეტი არ აწარმოებს მსგავს მონაცემთა ბაზას.

ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით უნივერსიტეტს უნდა ეწარმოებინა ზემოთგანხილული სტატისტიკა და კვლევები, რათა დადგენილიყო დარგის მოთხოვნა, რაც ზემოთ მოცემულ შემთხვევებში უგულვებელყოფილია და არ მოდის შესაბამისობაში სტანდარტთან.

4.2. კრიტერიუმი. უნივერსიტეტი თავისუფალია აკადემიურ საქმიანობაში, მაგრამ ამავე დროს, ვალდებულია გაითვალისწინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტიც, რისი შესრულების შემთხვევაშიც სასწავლო პროგრამებს მიენიჭებათ აკრედიტაცია. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, თითოეული სასწავლო პროგრამისთვის იმგვარად უნდა იყოს შედგენილი კურიკულუმი და სილაბუსი, რომ სტუდენტებს საშუალება ეძლეოდეთ განათლება მიიღონ უახლესი პროფესიული ლიტერატურით, რომელიც შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს.³³

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის ჯგუფმა თითოეული ფაკულტეტის მიხედვით შერჩევით შეისწავლა სასწავლო პროგრამების კურიკულუმები და სილაბუსები, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი გარემოება: ხშირ შემთხვევებში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები არის მოძველებული, ხოლო მისი ავტორი და საგნის ლექტორი

³³ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, სტანდარტი N4, პუნქტი-დ, გვ. 16

წარმოადგენს ერთსა და იმავე პიროვნებას. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს ნაკლებად ეძლევა საშუალება დაეუფლოს მსოფლიოში აღიარებულ უახლეს ლიტერატურას.

შერჩეული რაოდენობიდან შესწავლილ იქნა თითოეული პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები მოდულების მიხედვით, რის შედეგადაც გამოვლინდა:

- იმ მოდულებში, სადაც სასწავლებლის მიერ გამოცემული წიგნები უკანასკნელ წლებშია დაბეჭდილი, დიდად არ განსხვავდება იმავე წიგნების წინა ვერსიებისგან, გამოსწორებულია მხოლოდ ტექნიკური ხარვეზები, ხოლო ძირითადი არსი იგივე რჩება. იცვლება მხოლოდ გამოშვების წელი, წიგნის სტრუქტურა და მასალა კი იგივეა.
- სილაბუსებში მითითებულია მომველებული ლიტერატურა, კერძოდ: ბიოლოგიის კათედრაზე, იმუნოლოგიის მოდულში საერთაშორისო წყაროდ მითითებულია 2000-2002 წელს გამოცემული ლიტერატურა, რაც მსგავსი სწრაფადგანვითარებადი დარგისათვის დროის დიდ ინტერვალს წარმოადგენს. ანატომიის მოდულში ძირითად ლიტერატურად მითითებულია 1970 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, მაშინ როცა ბაზარზე არსებობს განახლებული ლიტერატურა, სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიით. ასევე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, მარკეტინგის კათედრაზე, მოდულ რეკლამის სილაბუსში მითითებულია 1994 წელს გამოცემული სახელმძღვანელო.

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს სილაბუსების შედგენის სტანდარტიზებული სისტემა. ისინი განსხვავდება არა მხოლოდ სასწავლო პროგრამების მიხედვით, არამედ ერთი და იგივე ფაკულტეტზე იდენტურ საგნებშიც კი წარმოადგენილია სხვადასხვა სილაბუსები.

4.3.კრიტერიუმი. უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება გაცვლითი პროგრამები საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რომელიც გულისხმობს თსუ-ს წარჩინებული სტუდენტების პარტნიორ უნივერსიტეტებში დროებით სასწავლებლად გაგზავნას და მათ ნაცვლად პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების მიღებას. 2012-2013 სასწავლო წლებში სასწავლებლის მიერ პარტნიორ უნივერსიტეტებთან განხორციელდა ინგლისურენოვანი, იტალიურენოვანი და გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამები. სტუდენტების შერჩევა ხდება 2 ეტაპად: პირველი ეტაპი მოიცავს უცხო ენის ტესტს, რომლის ჩაბარების შემთხვევაშიც სტუდენტი უფლებმოსილია გადავიდეს გასაუბრების ეტაპზე. კანდიდატების შეფასებასა და შერჩევას წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ახდენს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია. კრიტერიუმი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა თითოეული კონკურსისთვის და ითვალისწინებს აკადემიური მოსწრების მაჩვენებელს და ზეპირი გასაუბრების ქულას, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული შესაბამისი კოეფიციენტები და გააჩნიათ თანაბარი წონა.

გამოვლენილი გარემოება:

- კრიტერიუმის მიხედვით დაგროვილი ქულების გათვალისწინებლად მასარიკის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამისთვის შერჩეულია 3 სტუდენტი. აუდიტის ობიექტის განმარტებით მოცემული გარემოება აიხსნება იმით, რომ ზემოთაღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებდა უნივერსიტეტის მხრიდან ხარჯების სრულად დაფინანსებას და ერთ-ერთ კრიტერიუმად გათვალისწინებული იყო სტუდენტის გადახდისუნარიანობაც. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების (ელექტრონულ ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები) საფუძველზე აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება უნივერსიტეტის მხრიდან მოცემული პროგრამის შესახებ პროექტში მონაწილე ყველა აპლიკანტის ინფორმირებულობის თაობაზე.
- გაცვლითი პროგრამებისთვის მაგისტრანტების შერჩევისას, სტუდენტების ნაწილი რომლებსაც ჰქონდათ ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრება და ინგლისური ენის გამოცდის მაღალი ქულა, ზეპირ გასაუბრებაში შეფასებულები არიან დაბალი ქულით, ხოლო იმ სტუდენტებს რომლებიც მაღალი ქულით არიან შეფასებული ზეპირ გასაუბრებაში, აქვთ კონკურენტ სტუდენტებთან შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრება და ინგლისური ენის დაბალი ქულა. ქულათა დაჯამებით, შერჩეულნი არიან ის სტუდენტები რომლებსაც აქვთ მაღალი ქულა ზეპირ გასაუბრებაში და არა აკადემიურ მოსწრებაში ან/და ინგლისურ ენაში. ასევე, აღსანიშნავია რომ ბრძანებაში³⁴ არ არის გათვალისწინებული ზეპირი პრეზენტაციის (გასაუბრების) შეფასების კრიტერიუმი.
- მოცემულ კონკურსში ჩართული არ ყოფილა გარე კომისია და კომისიის წევრები დაკომპლექტებული იყო მხოლოდ თსუ-ს თანამშრომლებით. აღნიშნული ფაქტი არაერთგვაროვან პრაქტიკაზე მიუთითებს, რადგან თსუ-ს მიერ ორგანიზებული პროგრამების შესარჩევ ეტაპზე უმეტეს შემთხვევაში მოწვეულია გარე კომისიაც.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა აქტუალურია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. სისტემის განვითარებისათვის ერთიანი მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების შექმნის აუცილებლობაზე თანხმდებიან ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებიც. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბერლინის კომუნიკეს ფარგლებში, რომელიც ბოლონიის პროცესის თანმდევი დოკუმენტია და ემსახურება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას.

³⁴ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორის ბრძანება N43/01-01, 16.03.2012

დოკუმენტი ითვალისწინებს კრიტერიუმების, სტანდარტებისა და პროცედურების დადგენას საგანმანათლებლო ხარისხის უზრუნველყოფისათვის.³⁵

ხარისხის მონიტორინგი მიმდინარეობს როგორც შიდა სისტემით, ასევე-გარე. კერძოდ: შიდა მონიტორინგზე პასუხისმგებელია ფაკულტეტებთან არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო გარე მონიტორინგი ხორციელდება სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ფაკულტეტებთან არსებული ხარისხის სამსახურები წარმოადგენენ ერთიანი სისტემის ნაწილს, რომლის სათავეშიც დგას ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სადაც თავს იყრის კონსოლიდირებული ინფორმაცია. სამსახური საქმიანობისას უნდა ეყრდნობოდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონს, უნივერსიტეტის წესდებასა და სამსახურის დებულებას. აგრეთვე ცენტრის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2009 წელს შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმების გზამკვლევს.

ხარისხის განვითარების სისტემის გარე მონიტორინგს უზრუნველყოფს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრი შეფასების გზით, სასწავლო პროგრამებს ანიჭებს აკრედიტაციას, ხოლო უნივერსიტეტს -ავტორიზაციას.

4.4. კრიტერიუმი: ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართვისა და მექანიზმების დანერგვისას, უნივერსიტეტი უნდა ითვალისწინებდეს სამინისტროს მიერ შემუშავებულ ხარისხის განვითარების შიდა ინსტიტუციური მექანიზმების გზამკვლევს, რომელიც მოიცავს რიგ ასპექტებს: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და მისი პერიოდულობა, სასწავლო პროცესების შეფასება, საქმიანობის შეფასების ფორმებს და ანალიზს, კვლევის მეთოდოლოგიას და ა.შ. გზამკვლევი განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის და უზრუნველყოფს მისი ფუნქციონირების გაუმჯობესებას.³⁶ კვლევებისა და შედარებითი ანალიზის ჩატარება გათვალისწინებულია ასევე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოთი, რომელიც შემუშავებულია ცენტრის მიერ.³⁷ იგივე სახელმძღვანელო განსაზღვრავს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების ნორმებს, რომელიც ყოველწლიურად

³⁵ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კომუნიკე, ბერლინი, 2003 წლის 19 სექტემბერი

³⁶ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები, გზამკვლევი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2009

³⁷ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, სტანდარტი N1, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011

აისახება უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშებში და ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია ავტორიზაციის მოსაპოვებლად.³⁸

უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო ხარისხის დასადგენად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული განვითარება, რომლის ნორმებიც დადგენილია ცენტრის მიერ შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით. მრავალ კომპონენტთან ერთად, ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სათანადო პირობების შექმნა, რომელიც ერთ-ერთი წინაპირობაა ავტორიზაციის მისაღებად.³⁹

გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის მიერ არ განხორციელებულა შედარებითი ანალიზი კონკურენტ უნივერსიტეტებთან მიმართებაში. მათ შორის: შეთავაზებული სასწავლო პროგრამების ანალიზი, სწავლების მეთოდები და სახელმძღვანელო ლიტერატურის აქტუალობა, ძლიერი და სუსტი მხარეები კონკურენტებთან მიმართებაში, მოზიდული კონტიგენტის მიხედვით საბაზრო წილი და ა.შ.

არ ჩატარებულა შრომის ბაზრის კვლევა, არ განსაზღვრულა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და დამსაქმებლების მხრიდან მათზე მოთხოვნა.

უნივერსიტეტის მასშტაბით არ არის ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვა, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან შეთავაზებული პროგრამებით, სწავლების ხარისხით, არსებული ინფრასტრუქტურით და ა.შ., მიუხედავად იმისა რომ მსგავსი სახის კითხვარები რამდენიმე ფაკულტეტს შემუშავებული აქვს. აღნიშნული ანალიზის ჩატარება ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც სტუდენტები წარმოადგენენ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მომსახურების ძირითად მომხმარებლებს და შესაბამისად მათი აზრის გათვალისწინება ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია. მსგავს მონაცემებზე მონაცემთა ბაზის/რეესტრის წარმოება გათვალისწინებულია უნივერსიტეტის წესდებით,⁴⁰ ხოლო მსგავსი კვლევებისა და ანალიზის ჩატარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმების გზამკვლევით.⁴¹

აუდიტის ჯგუფმა, შერჩევით შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ შეფასებული სილაბუსები და სასწავლო პროგრამები, რომლის განხორციელება ასევე გათვალისწინებულია ცენტრის მიერ და სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტებითა და გზამკვლევებით. აღნიშნული

³⁸ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, სტანდარტი N4, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011

³⁹ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში, მუხლი 2.5

⁴⁰ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N135, მუხლი 17, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2013 წლის 11 სექტემბერი

⁴¹ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები, გზამკვლევი, თავი 11, კვლევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობაში

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა რომ, სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები უმეტეს შემთხვევაში ატარებს ფორმალურ ხასიათს, კერძოდ: სამსახურისათვის წარდგენილი სილაბუსები, ძირითადად მოწონებულია და გადაცემულია აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად. მაშინ როცა, აუდიტის ჯგუფმა აღნიშნულ სილაბუსებში გამოავლინა სტანდარტთან შეუსაბამობის ფაქტები, რაც განხილულია წინა ქვეთავებში.

ასევე, აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩევით შესწავლილია ცენტრის მიერ გაცემული დასკვნები სასწავლო პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ დადებითად არის შეფასებული რიგი ფაქტორები, რომელიც ვერ აკმაყოფილებდნენ კრიტერიუმს, კერძოდ: ცენტრის მიერ შეფასებულია მექანიზმების არსებობა და არა მათი ფუნქციონირების ეფექტიანობა. ასევე, რიგი სილაბუსები სადაც წარმოდგენილია მოძველებული სახელმძღვანელო ლიტერატურა შეფასებულია დადებითად და დასკვნაში აღნიშნულია, რომ მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე.

ყოველწლიურ თვითშეფასების კითხვარებში ჩამოთვლილია შესრულებული სამუშაოს რიგი ასპექტები, რომლის გადამოწმების შემდეგაც მივიღეთ რწმუნება, რომ ისინი მხოლოდ ნაწილობრივ, ან საერთოდ არ არის განხორციელებული, კერძოდ: აღნიშნულია, რომ განხორციელდა სტუდენტთა ანკეტური გამოკითხვა, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც კონსოლიდირებული სახით აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ განვითარებას, უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ერთდროულად შეუძლია მიიღოს 741 სტუდენტი, რაც საერთო სტუდენტების რაოდენობის დაახლოებით 3,5%-ს შეადგენს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია 176 კომპიუტერით, 4 ასლგადამღებით და 1 პრინტერით, რაც საკმაოდ დაბალ მაჩვენებლს გვაძლევს სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობასთან. გარდა ამისა, მსგავსად აღჭურვილი ბიბლიოთეკა არ არის განთავსებული ყველა სასწავლო კორპუსში, რაც ართულებს სტუდენტებისათვის სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობას. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წიგნები იბეჭდება უნივერსიტეტის სტამბაში. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება წიგნების მაღაზიების საშუალებით, ხოლო ბიბლიოთეკაში რჩება მხოლოდ ნაწილი, მთელი რაოდენობის დაახლოებით 7%, რაც არ არის საკმარისი სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, ყოველწლიურად, თითოეული ფაკულტეტი საშუალოდ 500 ახალ სტუდენტამდე ღებულობს, ხოლო ბიბლიოთეკაში თითოეულ სასწავლო საგანში გამოშვებული წიგნებიდან დაახლოებით 10 წიგნი რჩება, რაც იმას ნიშნავს რომ 50 სტუდენტზე მოდის 1 წიგნი. სტუდენტი იძულებულია შეიძინოს სილაბუსით გათვალისწინებული წიგნი.

სასწავლებელი არ არის სათანადოდ მზად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მისაღებად. პანდუსები მოწყობილია მხოლოდ პირველ კორპუსში, დანარჩენი კორპუსები კვლავ საჭიროებენ ადაპტირებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

სტუდენტებისათვის. ხოლო, პროგრამები საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის მორგებას.

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს და უნივერსიტეტს:

- გაუმჯობესდეს არსებული სასწავლო პროგრამები, კურიკულუმები და სილაბუსები. განახლდეს სასწავლო ლიტერატურა, დარგის უახლესი მიღწევების და საერთაშორისო აღიარების გათვალისწინებით;

უნივერსიტეტს:

- ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რეგულარულად ჩაატაროს კვლევები, გამოკითხვები და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობა, სასწავლო პროცესის სუსტი და ძლიერი მხარეები;
- განისაზღვროს გაცვლითი პროგრამებისთვის სტუდენტების შერჩევის მეორე, გასაუბრების ეტაპზე სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების შედეგები დეტალურად აისახოს შემფასებელი კომისიის სხდომის ოქმებში;
- არსებული რესურსების ფარგლებში გაუმჯობესდეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება მიიღონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება.

5.საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშგება

5.1 კრიტერიუმი: უნივერსიტეტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების⁴² თანახმად, შემუშავებული უნდა ჰქონდეს ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელი სააღრიცხვო პოლიტიკა და ორგანიზაციული ფორმა.

გამოვლენილი გარემოება: არ არის შემუშავებული შიდა აღრიცხვა-ანგარიშგება და კონტროლის სისტემა, სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა არაკოორდინირებულია სააღრიცხვო განყოფილებასთან, რაც განაპირობებს იმას, რომ ვერ ხდება საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების ამსახველი დოკუმენტების დროული, სრული და ზუსტი ასახვა სააღრიცხვო რეგისტრებში. საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებაში არ ხდებოდა თანამშრომელთა ფუნქციების სწორი გადანაწილება, კოორდინაცია და სრულყოფილი კონტროლი. არაა დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული პროგრამა.

⁴² 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

5.2 კრიტერიუმი: ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება (ჯართი, სამშენებლო მასალა ვარგისი ნაწილები და სხვა) დადგენილი ღირებულებით უნდა აისახოს ბალანსში მარაგების სახით⁴³.

გამოვლენილი გარემოება: ბალანსიდან ამორტიზებული (გამოუყენებელი) ძირითადი საშუალებების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით 2012 წლის 13 თებერვლის N17/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ 2012-2013 წლებში განხორციელდა 1374 ერთეული (მათ შორის 12 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება) 365 492 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებების ჩამოწერა. ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონამ 36 596 კგ და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისად განსაზღვრულმა საბაზრო ღირებულებამ 1 ტონაზე 280 (დღგ-ს გარეშე) ლარი შეადგინა. მ/საშუალებების ნარჩენი ღირებულების და ლიკვიდაციის აქტები შედგენილია აღნიშნული კომისიის მიერ, რომლის დასკვნებიც საფუძვლად უდევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემულ ძირითადი აქტივების ჩამოწერის ბრძანებებს. აღნიშნული ჯართის შემოსავალში აღება ბალანსის მარაგების ნაწილში არ მომხდარა, ასევე არა არის ასახული მარაგების ნაწილში, აუდიტის პერიოდში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოების ფარგლებში დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური ფასეულობები (გათბობის მილები 1096 გ/მ, გათბობის რადიატორები, ლითონის რაფები, გისოსები 1216 კვმ და ალუმინის ვიტრაჟების, მეორადი სამშენებლო მასალები (აგური, მინაბლოკი, შიფერი)).

5.3 კრიტერიუმი: საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერის შეტანის საფუძველია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ სამეურნეო მოვლენის მოხდენის ფაქტს. პირველადი დოკუმენტები შედგენილ უნდა იქნეს სამეურნეო მოვლენის მოხდენის მომენტში, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე და ბუღალტერიას უნდა გადაეცეს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. ბუღალტრული აღრიცხვის მთავარი ამოცანაა სამეურნეო საქმიანობის სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბება, ქონებისა და მისი მოძრაობის შიდა კონტროლის უზრუნველყოფა, საბუღალტრო ანგარიშებში ოპერაციების ასახვის სისრულე, უტყუარობა და კონროლი⁴⁴.

გამოვლენილი გარემოება:

ავტოსატრანსპორტო საშუალებების აფასება

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სასწავლებელს ერიცხებოდა 118 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება 145536 ლარის ღირებულებით.

⁴³ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამკვიცებული დებულება „ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“.

⁴⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ დებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

2009 წელს აუდიტის დასკვნის თანახმად, აფასებული ავტო სატრანსპორტო საშუალებების ღირებულება თანხით 83 305 ლარი, აღრიცხვაში ასახული იქნა 3-4 წლის დაგვიანებით, არასწორად და არასრულად, აფასების ნაცვლად მოხდა ჩამოფასება 34 223 ლარით, შესაბამისად ბალანსის დანართი ფორმა N5-ის მოძრაობა და ფორმა N1-ში დაფიქსირებული ნაშთები არასწორად და არასამართლიანად ასახავს მომხდარ სამეურნეო ოპერაციას.

ბალანსის დანართ ფორმა N6 ში (ტრანსპორტი) დაფიქსირებული ავტომანქანების ოდენობა ორი ერთეულით აჭარბებს საფინანსო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას (ტრანსპორტის მოძრაობის ცხრილი), ასევე ავტომანქანების შეკეთებაზე გაწეული საკასო ხარჯები არ ემთხვევა ერთმანეთს, სხვაობა 2012 წელს შეადგენს 13068, ხოლო 2013 წელს 3953 ლარს.

გამომცემლობა (სტამბა)

უნივერსიტეტის გამომცემლობა (სტამბა) წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს და წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ემსახურება მხოლოდ შიდა შეკვეთებს. დამზადებული ნაწარმიდან მხოლოდ რეალიზებადი (წიგნები) პროდუქცია მიემართებოდა უნივერსიტეტის ცენტრალურ საწყობში, ხოლო არარეალიზებადი პროდუქცია, დაბეჭდილი წიგნების საავტორო 10%-იანი სარგებლის ჩათვლით სტამბიდანვე გადაეცემოდათ პირადად შემკვეთებს (უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულები), მხოლოდ ჟურნალში ხელმოწერის საფუძველზე.

2012-2013 წლებში სასწავლებლის საწყობიდან გამომცემლობაში (სტამბა) გაცემულია 248 811 ლარის სახარჯი მასალა. წარმოებულმა პროდუქციამ ამავე პერიოდში 306 671 ლარი შეადგინა, საიდანაც საწყობს (სტამბის მონაცემებით) ჩაბარდა 167 201 ლარის, რაც საბუღალტრო (საწყობის) მონაცემებთან შედარებით (259 129 ლარი) 91 928 ლარით ნაკლებია. საწყობის და შესაბამისად აღრიცხვის გაუვლელად მიღება-ჩაბარების აქტებითაა გაცემული 139 470 ლარის პროდუქცია, პირდაპირ შემკვეთებზე (უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებზე). ამასთან ერთად, პროდუქციის წარმოებაზე გახარჯული მასალების ჩამოსაწერად წარდგენა ბუღალტერიაში ხდება დიდი დაგვიანებით, საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ. 2013-2014 წლებში საბუღალტრო მონაცემებით ჩამოსაწერად წარდგენილია 145 449 ლარის მასალები, ანუ მზა პროდუქციის 47.4%. ვინაიდან პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო რესურსების კალკულაციაში მასალის ხარჯი არაა ცელკე გამოყოფილი, შეუძლებელია ფაქტიურად გახარჯული მასალის ღირებულების შედარება ნორმატივთან და შესაბამისად, რეალურად წარმოებული პროდუქციის ღირებულების დადგენა.

სტამბაზე რიცხული სახარჯი მასალის ნაშთების რეალობის დადგენის მიზნით, სასწავლებლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 23 სექტემბრის N129/02-01 ბრძანების საფუძველზე, საინვენტარიზაციო კომისიამ (7 წევრი) აუდიტის ჯგუფის წარმომადგენლების თანდასწრებით მოახდინა სტამბაზე რიცხული სახარჯი მასალების სრული ინვენტარიზაცია, რაც შედარებული იქნა სააღრიცხვო მონაცემებთან.

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილმა მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისმა შეადგინა 12 658.19 ლარი, მათ შორის, ორი დასახელების 94 შეკვრა საბეჭდი ქაღალდი 4 312.65 ლარის ღირებულებით, ხოლო მატერიალური ფასეულობის ზედმეტობამ (აღურიცხავმა) შეადგინა 14 218.89 ლარის მათ შორის, 7 დასახელების 413 შეკვრა საბეჭდი ქაღალდი 11 132.8 ლარის ღირებულებით. ამას გარდა ზედმეტობად ჩაითვალა 80 შეკვრა 250 გრამიანი ცარცის ქაღალდი(60*90) და ოთხი დასახელების 51 ერთეული სახარჯი მასალა, რომელთა ღირებულებაც ვერ დადგინდა.

სტუდენტთა

უნივერსიტეტის სტუდენტთა ბინის ქირის გადასახადის აღრიცხვა არ ხდებოდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, კერძოდ: მიუხედავად იმისა რომ ბრძანებებით⁴⁵ დამტკიცებული საერთო საცხოვრებლის შინაგანაწესი ავალდებულებდა საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, სტუდენტების აღრიცხვა/კონტროლი და მათი გადახდის პირობები კონტროლდებოდა მხოლოდ სტუდენტთაში;

2013 წლის ივლისამდე ბინის ქირის შემოსავლად აღიარება ხდებოდა საკასო მეთოდით, მობინადრის მიერ წარდგენილი ბანკის გადახდის ქვითრის (არა ბანკის ამონაწერის) საფუძველზე და არა დარიცხვის მეთოდით, გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

არ ხდებოდა მობინადრეების მიხედვით როგორც დებიტორული ისე კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა/კონტროლი, შესაბამისად 2013 წლამდე უნივერსიტეტის ბალანსის შედგენა ხდებოდა მობინადრეების დებიტორ/კრედიტორული ნაშთების გარეშე;

სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, კომუნალური გადასახადების გადახდა შედიოდა მათ ვალდებულებაში, ფაქტიურად კი ანგარიშსწორებას ახდენდა უნივერსიტეტი, ვინაიდან არ იყო გამხოლოებული ელექტროენერგიისა და წყლის მრიცხველები საცხოვრებელი ოთახების მიხედვით;

აღნიშნული საკითხი შესწავლილია უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

პირველი კორპუსის რემონტი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად 2009 - 2012 წლებში წარმოებდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რემონტი, სათანადო მოწყობილობა-აგრეგატებით, ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვა, რაც განხორციელდა კომპანია „ატუ“-ს მიერ, უსასყიდლოდ, საჩუქრის სახით. სარემონტო სამუშაოებისა (დაახლოებით 20 მილიონი ლარი) და ტექნიკა

⁴⁵ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წლის 4 აგვისტოს N107/02-01 და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 25 ივლისის N83/02-01

ინვენტარის (დაახლოებით 977,8 ათასი ლარი)ამსახველი პირველადი დოკუმენტაცია, სასწავლებელს დღემდე არ გადმოცემია და შესაბამისად მათი ასახვა საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებში არ მომხდარა.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტს:

- შემუშავდეს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა და განხორციელდეს სააღრიცხვო სამსახურის ორგანიზაციული ოპტიმიზაცია;
- ყველა საფინანსო-სამეურნეო ოპერაცია (ძირითადი საშუალებების აფასება, ჩამოწერა, სარემონტო სამუშაოების კაპიტალიზება, დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალები) დროულად, სრულად და სამართლიანად აისახოს სააღრიცხვო რეგისტრებში;
- გატარდეს ღონისძიებები სასწავლებლის სტამბაში გამოვლენილი აღრიცხვის ნაკლოვანებებისა და მატერიალურ-ფასეულობათა სხვაობების აღმოსაფხვრელად.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

შესყიდვები

1.არის შემთხვევები, როდესაც დღგ-ს ჩათვლით გამოცხადებულ ტენდერში იმარჯვებს დღგ-ს არგადამხდელი, რაც იწვევს დღგ-ს გადამხდელის უარეს მდგომარეობაში ჩაყენებას, მისი ფასის დღგ-ს თანხის ოდენობით გაზრდის გამო.

უნივერსიტეტს 2012 წლის 18 მაისს გამოცხადებული აქვს ტენდერი (SPA120013986) სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 20 000 ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით. ხელშეკრულება გაფორმდა დღგ-ს არ გადამხდელ ინდ/მ ვილენ ორმოცაძესთან **15 000** ლარზე. მის მომდევნო პრეტენდენტს კი, დღგ-ს გადამხდელ, შპს „პრომოთე“-ს წარმოდგენილი ჰქონდა სატენდერო წინადადება 16 000 ლარზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი ფასი **13 559** ლარს შეადგენდა დღგ-ს გარეშე, უფრო ნაკლებს ვიდრე ინდ/მ ვილენ ორმოცაძისა, იგი დამარცხდა.

უნივერსიტეტს 2013 წლის 22 იანვარს გამოცხადებული აქვს ტენდერი (SPA130001770) საწმენდი და საპრიალებელი პროდუქციის შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 46 000 ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით. ხელშეკრულება გაფორმდა დღგ-ს არ გადამხდელ ინდ/მ კახა ვარდიძესთან **26 750** ლარზე. მის მომდევნო პრეტენდენტებს კი, დღგ-ს გადამხდელ შპს „Z&Z“ და შპს „დომოქიმი“-ს წარმოდგენილი ჰქონდათ სატენდერო წინადადებები 26 755 და 28 740 ლარზე. მიუხედავად იმისა რომ მათი ფასი **22 673 და 24 355** ლარს შეადგენდა დღგ-ს გარეშე, უფრო ნაკლებს ვიდრე გამარჯვებულისა, ისინიც დამარცხდნენ.

2. უნივერსიტეტის მიერ 2013 წლის 19 ივლისს გამოცხადებული ტენდერის (SPA130015792 შტორების (ფარდა-ჟალუზები) შესყიდვა), სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით არ ჩანს, თუ რა ფერის საქონლის შესყიდვას აპირებდა შემსყიდველი. ამიტომ, ტექნიკურ დავალებაში საქონლის ფერის ნაცვლად მითითებულ იქნა „მოთხოვნის შესაბამისად“ ანუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველი ერთპიროვნულად გადაწყვეტდა თუ რა ფერის ფარდა-ჟალუზები უნდა მოეთხოვა მიმწოდებლისგან. ტენდერში მონაწილე შპს „დაბა +“-ის მიერ წარდგენილ სატენდერო წინადადებაში ფარდა-ჟალუზების ფერთან მიმართებაში აღნიშნულია „სხვადასხვა“ და „შეთანხმებით“, ანუ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად, მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტდნენ, თუ რა ფერის ფარდა-ჟალუზის მიწოდება უნდა განეხორციელებინა მიმწოდებელს, თუმცა შემსყიდველმა დაჟინებით მოითხოვა მხოლოდ მას გადაეწყვიტა ფარდა-ჟალუზების ფერი და პრეტენდენტისაგან მოითხოვა დაეზუსტებინა სატენდერო წინადადება, სადაც ფერის ნაცვლად მითითებული იქნებოდა „მოთხოვნის შესაბამისად“ და აგრეთვე დასაზუსტებელი იყო მასალის პოლიესტერის პროცენტული მაჩვენებელი, რაც კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა და შესაბამისად იგი დისკვალიფიცირებულ იქნა ტენდერიდან.

3. გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების კონტროლს უნივერსიტეტში უზრუნველყოფს ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული ინსპექტირების ჯგუფი ან/და შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (გრანტების შემთხვევაში). უნივერსიტეტმა 2012 წლის 11 ოქტომბერს, ქსელური მოწყობილობების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის (SPA120024978) საფუძველზე ხელშეკრულება გააფორმა შპს „ალგორითმთან“ 8420 ლარზე. სატენდერო დოკუმენტაციით და გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრა პირობა წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსის) არ გამოყენების შესახებ. მიუხედავად ამისა, 2012 წლის 27 დეკემბერს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის, (28.11.2012) ასევე ხელშეკრულების მოქმედების ვადის (25.12.2012) გასვლის შემდგომ, მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვით შპს „ალგორითმს“ ავანსად გადაერიცხა სახელშეკრულებო ღირებულების თანხა, წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ შპს „ალგორითმს“ 2012 წლის 29 მარტს და 20 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, დაკისრებული ჰქონდა ჯარიმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისათვის.

4. შეზღუდული ვადებითაა გამოცხადებული მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების ტენდერები, რისი დასტურიცაა ხელშეკრულებების და სამუშაოს შესრულების ვადების გახანგრძლივების ფაქტები. გამოცხადებულ ტენდერებზე სამუშაოთა ჩაბარების ვადად ცხადდებოდა საშუალოდ 30-40 დღე, რეალურად კი უმეტეს შემთხვევაში (11 ხელშეკრულება) ადგილი ქონდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ჩაბარების ვადების მნიშვნელოვან ზრდას,

(ერთ შემთხვევაში (ხელშეკრულება N1037/06 26.12.11) ვადა გაიზარდა ორჯერ, ორ-ორი თვით), უმეტესად არგუმენტის გარეშე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ვადის გაგრძელების არგუმენტად სახელდება ის გარემოება, რომ სარემონტო ფართი დაკავებულია სტუდენტების ანდა თანამშრომლების მიერ, რაც თავიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი და არ უნდა გამხდარიყო ვადის გაგრძელების საფუძველი, თუმცა ამის მიუხედავად ხშირ შემთხვევაში მაინც ვერ ხერხდებოდა ობიექტის დროული ჩაბარება.

სამეცნიერო გრანტები

უნივერსიტეტში 2012 წელს გაფორმდა 43, ხოლო 2013 წელს 80 ეროვნული სამეცნიერო საგრანტო ხელშეკრულება.⁴⁶ 2012 წელს მიმდინარე პროექტებიდან ყველაზე დიდი წილი უკავია სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებს, ხოლო 2013 წლის მიმდინარე გრანტებიდან გამოირჩევა ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევებისთვის სამეცნიერო გრანტები. 2012 თსუ-მ მოიპოვა 21 საერთაშორისო გრანტი, ხოლო 2013 წელს საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულებების რაოდენობამ 13 შეადგინა. დონორი ორგანიზაციების წარმოშობის ქვეყნების მიხედვით დომინირებს ევროპული ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები.

1. ეროვნული სამეცნიერო გრანტების ფარგლებში ზედნადები ხარჯებისთვის³⁷ განკუთვნილი სახსრების საგრანტო პროექტის ბიუჯეტში გათვალისწინება ხდება ავტომატურად ბიუჯეტის 10%-ის ოდენობით. ცალკეული საგრანტო პროექტების მიხედვით კომუნალური ხარჯების იდენტიფიცირება და ცალკე აღრიცხვა ვერ ხერხდება, რადგან ის თითოეული საგრანტო ჯგუფის ცალკე აბონენტად რეგისტრაციის ტოლფასია. ამასთან, თსუ-ში გრანტების ადმინისტრაციული მომსახურება სხვადასხვა განყოფილების მიერ ხორციელდება, რეგულაცია კი მხოლოდ საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს ითვალისწინებს. ამის გამო, ზედნადები ხარჯების მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობაა გრანტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ და ფაქტიურად გაწეულ მაჩვენებელს შორის. საფინანსო დეპარტამენტის ცნობით, 2012-2013წწ დასრულებული ეროვნული სამეცნიერო საგრანტო პროექტების ბიუჯეტით დამტკიცებული თანხების ათვისების შედარებით დაბალი მაჩვენებელი სწორედ ამ სახის ხარჯებზე მოდის. 2012 წელს ზედნადები ხარჯებისთვის განკუთვნილი აუთვისებელი თანხები ფონდში დაბრუნდა 240 437 ლარის ოდენობით, ხოლო 2013 წელს 97 724 ლარის ოდენობით. 2012 და 2013 წლებში აღნიშნული სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სარგებლობდა კომერციული ბანკი და გრანტის მიზნებისთვის ამ თანხების გამოყენება არ მომხდარა. საქმე გვაქვს რეგულაციის შეზღუდულობასთან, რაც აღნიშნული სახსრების არაეფექტიან გამოყენებას იწვევს.

⁴⁶ აღნიშნულ რაოდენობაში არ შედის ის საგრანტო პროექტები, რომლებშიც გრანტის კუთვნილი სახსრები ირიცხება არა თსუ-ს, არამედ საგრანტო პროექტის ავტორის პირად ანგარიშზე (მათ შორის დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების და სხვა გრანტები).

2. საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში სახაზინო სამსახურში უცხოურ ვალუტაში ჩამორიცხული ტრანში ჩამორიცხვის თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსით კონვერტირდება ლარებში. ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში გაცემულ გრანტებზე აღნიშნული თანხის ხარჯვა სპეციალურ ვებგვერდზე⁴⁷ დაფიქსირებული კურსით მოითხოვება. ტემპუსის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების⁴⁸ ფარგლებში 2013 წლის 20 ნოემბრამდე გადარიცხვები ხელფასებსა და მივლინებებზე განხორციელებულია კურსით 1 ევრო = 2,2432 ლარი, მაშინ როცა ხელშეკრულების⁴⁹ თანახმად უნდა ეხელმძღვანელათ ევროკავშირის მიერ ოფიციალურ ვებ გვერდზე ამ პროექტისთვის დაფიქსირებული კურსით (1 ევრო= 2.3815ლარი). ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 16 დეკემბერის N1142/02-03 ბრძანებით გაცემულია ანაზღაურება ხელფასებზე კურსთაშორის სხვაობის გამო, ხოლო N1143/02-03 ბრძანებით გაცემულია ანაზღაურება მივლინებებზე კურსთაშორის სხვაობის გამო.

3. ევროკომისიის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებში შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ე.წ. წარმოშობის წესი (The rule of origin), რომელს თანახმადაც შესყიდული საქონელი აუცილებლად და იმპერატიულად ევროპის კავშირში წარმოებული უნდა იყოს. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-12¹ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება.“ ამ მიზეზით, რიგ შემთხვევებში, პრობლემა ექმნება საგრანტო პროექტის მიმდინარეობას. უნივერსიტეტმა საგრანტო პროექტის - „ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის დაფუძნება თსუ-ში“ ფარგლებში შეისყიდა უწყვეტი კვების წყარო⁵⁰. უნივერსიტეტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში არ იქნა მითითებული მწარმოებელი ქვეყანა/არეალი. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შესთავაზა არაევროპული წარმოშობის უწყვეტი კვების წყარო. ამის გამო დონორმა, ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული მიიჩნია არალეგიტიმურ ხარჯად და არ დააფინანსა. უნივერსიტეტმა საკუთარი ეკონომიკური შემოსავლებიდან დაფარა სახელშეკრულებო ვალდებულების თანხა და აღნიშნული უწყვეტი კვების წყარო მიმართა არა გრანტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების საჭიროებისათვის, არამედ საკუთარი მიზნებისთვის, გრანტის ხელმძღვანელი კი იძულებული გახდა უარი ეთქვა უწყვეტი კვების წყაროს შესყიდვაზე.

⁴⁷ www.ec.europa.eu/budget/inforeuro

⁴⁸ საგრანტო ხელშეკრულება N517002 "მიგრაცია და უმაღლესი განათლება -უნარებისა და შესაძლებლობის გამყარებისათვის"

⁴⁹ საგრანტო ხელშეკრულების პუნქტი I.11.1-ის თანახმად, ხარჯების კონვერტაცია ევროში ბენეფიციარმა უნდა განახორციელოს კომისიის მიერ განსაზღვრული თვითური გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია კომისიის სათანადო ვებგვერდზე და რომელიც შეესაბამება ფინანსური ტრანშის ჩამორიცხვის თვეს. ანალოგიური მოთხოვნა დაფიქსირებულია სახელმძღვანელოს „ხშირად დასმული კითხვები“ 24-ე გვერდზე. (<http://eacea.ec.europa.eu/tempus/beneficiaries/tempus4-2011/faqs-2011-4th-call-final-update-january-2013-v4.pdf>)

⁵⁰ ხელშეკრულება სახ. შესყიდვის შესახებ N425/06 09/07/2013 ხელშ. ღირებულება 3080 ლარი

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან კოორდინაციით უზრუნველყოს სამეცნიერო გრანტებზე გაცემული სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის მექანიზმის შემუშავება. ვინაიდან შეზღუდული რეგულაციის გამო ვერ ხდება ცალკეული მომსახურების ზუსტი იდენტიფიცირება და მიკუთვნება ზედნადები ხარჯების კატეგორიაში, შემუშავდეს რეგულაცია სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი განკარგვის მიზნით. გრანტის მიმღებმა (თსუ) უზრუნველყოს საგრანტო პროექტებში ზედნადები ხარჯების საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმვა და არა მათი ავტომატურად პროექტის ბიუჯეტის გარკვეული პროცენტის ოდენობით გათვალისწინება.

უძრავი ქონების სარემონტო სამუშაოები

აუდიტის პერიოდში (2012-2013 წ.წ) უნივერსიტეტში სხვადასხვა სახის, კერძოდ აუდიტორიებისა და ლაბორატორიების, გადახურვისა და მოასფალტების, ლიფტების, სანკვანძებისა და ელ.გაყვანილობის სარემონტო სამუშაოების, ასევე გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოების ჩატარებაზე გაფორმებულია 17 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 1578.4 ათასი ლარი, შესრულებული სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაციის საფუძველზე ანაზღაურებულია 1521.1 ათასი ლარი.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად არაა კომისიური წესით შედგენილი დეფექტური აქტები. შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია ხელშეკრულების პირობების თანახმად გადიოდა ექსპერტიზას სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში, სადაც ხდებოდა ხარჯთაღრიცხვითა და შესრულებულ სამუშაოთა აქტით (ფორმა N2) გათვალისწინებული მოცულობების შედარება ფაქტიურად ჩატარებულ სამუშაოებთან. ბიუროდან წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით ხუთ შემთხვევაში გამოვლენილია მიწერები და შესაბამისად, მომწოდებელზე ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა შემცირებულია 22.8 ათასი ლარით.

აუდიტის ჯგუფის მიერ მოხდა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შერჩევითი ვიზუალური დათვალიერება. შპს „მეგა სერვის ცენტრთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (N90/02 10.02.2012) თანახმად, ვ. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში ლამინირებული იატაკის მოწყობისა და ხის კარების საკეტების მონტაჟის სამუშაოების ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოების (ძირითადად სავალი ნაწილები) ჩასატარებლად 2012 წლის განმავლობაში ხუთ კომპანიასა და ერთ ი/მეწარმესთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, შესრულებული სამუშაოების მოცულობამ 42 832 ლარი შეადგინა, საიდანაც შპს „იბერია ავტოჰაუსთან“ შეკეთებულ ავტომანქანებზე (ხელშეკ. NN 693/06 18.10.12, 877/06 14.12.12) არაა შედგენილი ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დეფექტური აქტები.

2013 წელს ავტო-ტექნომსახურეობის გაწევას ახორციელებდა ორი კომპანია, შესრულებულია სამუშაოები საერთო თანხით 71 497 ლარი. შპს „კია მოტორს ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებიდან დარღვეულია მე-3 მუხლის მოთხოვნა, რის გამოც ზედმეტადაა გადახდილი 800 ლარი, შპს „ცენტრ ჰაუსიდან“ აპრილის თვეში მიღებული მომსახურებიდან, ავტომანქანების (TSU 707 და ACV 889) შეკეთებაზე არაა შედგენილი ხელშეკრულების (N82/06 12.02.2013) 5.2 პუნქტით განსაზღვრული დეფექტური აქტები.

სამივლინებო ხარჯები

უნივერსიტეტის თანამშრომელთა საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო, მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების დამტკიცების შესახებ“ №220 ბრძანებითა და რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 09 ნომბრის №38/04 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების შესაბამისად.

აუდიტის ჯგუფმა, აუდიტორული შერჩევის საფუძველზე, შეისწავლა 2012-2013 წლებში თსუ-ს თანამშრომელთა მივლინებები, რამაც საერთო ჯამში 111 შემთხვევა მოიცვა. აუდიტის პროცესში გამოვლენილ იქნა სხვადასხვა სახის შეუსაბამობები:

- 2013 წელს შერჩეული მივლინებებიდან 8 შემთხვევაზე აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილებაში არ მოიპოვება სამივლინებო ანგარიში. აღნიშნული არ შეესაბამება №38/04 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც „ფინანსური ნაწილის დახურვის ერთ-ერთი საფუძველია მივლინების შინაარსობრივი ანგარიშის (შესრულებული სამუშაოს) იმ სტრუქტურული ერთეულის მიერ დადებითად შეფასება, რომლის თანამშრომელსაც წარმოადგენს მივლინებიდან დაბრუნებული პირი“;
- წარმოდგენილ ანგარიშებს არ ახლავს იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შეფასება, რომლის თანამშრომელსაც წარმოადგენს მივლინებიდან დაბრუნებული პირი, ხოლო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მივლინების შემთხვევაში რექტორის მიერ მივლინების შედეგების შეფასება;

- 2013 წლის თანამშრომელთა მივლინებების შესწავლისას 3 შემთხვევაში ვერ მოიძებნა უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტაციის ქართული თარგმანი, რაც შეუსაბამობაშია №38/04 ბრძანების მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან. კერძოდ, აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, განცხადებას დანართის სახით უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნათარგმნი და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამოწმებული დოკუმენტაცია.

საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურება

2012 წელს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების⁵¹ თანახმად, რევაზ ბჟალავა და ალექსანდრე კილაძე, შესაბამისად სამი და ექვსი დღის განმავლობაში მოწვეულნი იყვნენ უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში ექსპერტ-კონსულტანტად, სალაროდან ანაზღაურებულია შესაბამისად 1125 და 1312 ლარი. მათ ევალებოდათ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული თამაშების/ტურნირების წესების დადგენა(კილაძის მიერ ჯომარდობასა და ველოსპორტში) გუნდების რეგისტრაცია და დებულებების შედგენა. აღნიშნულ პიროვნებებზე, ექსპერტ-კონსულტანტის დამადასტურებელი დოკუმენტი და მათ მიერ შედგენილი თამაშების/ტურნირების დებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი. კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის განმარტების თანახმად, ასეთი ინფორმაცია სხვადასხვა მიზეზთა გამო დეპარტამენტში არ ინახება.

დიპლომები

ადგილი ჰქონდა რეგისტრირებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დიპლომების) ნიმუშების თვითნებურ ცვლილებას ლიცენზირებულ სტამბებში დაბეჭდვის დროს, შედეგად წლების განმავლობაში დაგროვილია 46 151 ლარის ღირებულების 12399 ერთეული უვარგისი დიპლომი, რომლის უტილიზაცია უნდა განხორციელებულიყო საქართველოს კანონის „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით⁵² დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა უტილიზაციის შესახებ“ ინსტრუქციის საფუძველზე. უნივერსიტეტმა წერილობით⁵³ მიმართა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, თუმცა მიღებული პასუხების თანახმად, სასწავლებლის თხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მიზეზით, რომ წარდგენილი არცერთი ერთეული დიპლომი არ შეესაბამებოდა რეგისტრირებულ ნიმუშს, აქვე აღსანიშნავია, რომ მიმართვა უტილიზაციაზე უნდა მომხდარიყო ყოველ წელს, რეგისტრაციის გაუქმების კვალობაზე, რაც არ განხორციელებულა.

⁵¹ NN 583/07 11.05, 692/07 11.05

⁵² 2005 წლის 30 აგვისტოს N824

⁵³ 2013 წლის 18 ნოემბრის N1898/01-01-03-40 და 2014 წლის 24 იანვრის N68/01-01-03-40

დებიტორ-კრედიტორები

წარმოდგენილი ცნობებისა და ბალანსის დანართი ფორმა N1-ის თანახმად, უნივერსიტეტს 2012 წლის დასაწყისისთვის ერიცხებოდა 415715 ლარი დებიტორული და 182516 ლარის კრედიტორული დავალიანება, რომლებიც აუდიტის პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა (განსაკუთრებით ეკონომიკური სამქმიანობაზე) და 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგინა შესაბამისად 289024 და 123196 ლარი.

დასახელება	01.01.2012		01.01.2014	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
ეკონომიკური საქმიანობა	107474.18	42276.42	1156.16	52883.68
შემოერთებული ინსტიტუტები	83246.24	128524.00	53040.00	63578.46
სამეცნიერო ეროვნული გრანტი	189193.68	190.00	153385.46	1810.34
საერთაშორისო გრანტი	4950.00	7498.61	3968.00	408.00
იჯარა	30850.24	0.00	50335.70	0.00
სტუდენტლაქი	0.00	0.00	2860.00	4516.00
ხაზინა (შპს. "ალგორითმი")	0.00	0.00	24279.00	0.00
ეკონომიკის საერთაშორ. სკოლა		4027.3		
	415714.34	182516.33	289024.32	123196.48

რაც შეეხება სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებულ დებიტორულ დავალიანებას, ბალანსისა და წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, 2012 წლის დასაწყისისთვის საბალანსე ანგარიშზე N1480 - „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები“ სწავლის გადასხადის დავალიანების ნაშთი არ ირიცხება, 2012-2013 წლებში ხდებოდა მხოლოდ აქტიურ სტუდენტთა ვადაგადაცილებული დავალიანების აღრიცხვა, რამაც 2014 წლის იანვრისთვის 252 150 ლარი შეადგინა.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

უფროსი აუდიტორი (ჯგუფის ხელმძღვანელი):

ელგუჯა ბეროშვილი



აუდიტორი:

მარიამ ზაალიშვილი




აუდიტორი:

ნინო ბუხნიკაშვილი



აუდიტორი:

ნინო კუბლაშვილი



აუდიტორ ასისტენტი:

გიორგი როსტიაშვილი



აუდიტორ ასისტენტი:

ალექსანდრე ასათიანი

